

საქართველოს ჟურნალისტური
ეთიკის ქარტიის საქმიანობის
წლიური ანგარიში

2016





აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

ამ ერთი წლის განმავლობაში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს არაერთხელ შევხვდი. ქარტიაზე საუბრისას ყოველთვის ერთ კითხვას მისვამენ - რა აზრი აქვს გადაწყვეტილებას, რომელსაც სანქცია არ მოჰყვება? ამის შემდეგ ვინც ხოლმე თვითრეგულირების მნიშვნელობაზე საუბარს, გულწრფელად მჯერა, რომ მედიის სტანდარტების გაუმჯობესების ერთადერთი გზა სწორედ თვითრეგულირებაა. ის გაზღვევს მავანთა მცდელობებისგან, ეთიკური გადაცდომები კანონით დაარეგულირონ, რაც რეალურად მედიის შემზღვევის დიდი ბერკეტია; გეხმარება, მოიპოვო და გაიმყარო საზოგადოების ნდობა, რადგან უსმენ და რეაგირებ მისგან წამოსულ შენიშვნებზე. ამიტომაც შეცდომების გამოსწორება, საკუთარი თავის-თავად დარეგულირება პირველ რიგში მედიის ინტერესია.

ქარტიის თითოეულ წევრს გვაკისრია პასუხისმგებლობა, საკუთარი საქმიანობით ხელი შევუწყოთ ამ მექანიზმის გაძლიერებას, მის მიმართ ნდობის ამაღლებას.

მიხარია, რომ თვითრეგულირების იდეის სიძლიერეში ქარტია საზოგადოებას წლიდან წლამდე

სულ უფრო მეტად არწმუნებს, რადგან ის არის ერთადერთი, უკვე შემდგარი თვითრეგულირების ორგანო, რომელიც თავად ჟურნალისტებმა შექმნეს საკუთარი სურვილით. ზემოთ ნახსენებ კითხვაზე უკვე პასუხიც შეგვიძლია კონკრეტული მაგალითებით.

2016 წელს ქარტიამ გასულ წელთან შედარებით ბევრად მეტი განცხადება მიიღო მოქალაქეებისგან, რომლებიც სხვადასხვა სფეროს თუ წრეს წარმოადგენდნენ. ქარტიის ცნობადობა საზოგადოებაში იზრდება და სულ უფრო მეტმა ადამიანმა იცის, ვის მიმართოს, თუკი მედიის მიერ შექმნილ პრობლემებში რაიმე არ მოეწონება. ეს დადებითი ტენდენციები ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს ქარტიას, მის საბჭოს. მნიშვნელოვანია, რომ, ერთის მხრივ, გაიზარდოს მოქალაქეთა მომართვა, მეორეს მხრივ კი, დროულად განვიხილოთ შემოსული განცხადებები, რათა თითოეულმა საქმემ არ დაკარგოს აქტუალობა. შესაბამისად მომდევნო წელს სწორედ ამ სირთულეებთან გასამკლავებლად მუშაობა მოგვიწევს.

ნატა ძველიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

შინაარსი

შესავალი	3
1. საერთო კრება	3
2. საბჭოს საქმიანობა	5
2.1. განხილული საქმეები	5
2.2. საბჭოს საჯარო განცხადებები	7
3. ინსტიტუციური განვითარება	8
4. კომუნიკაცია წევრებთან და დაინტერესებულ პირებთან	10
5. მედიის სტანდარტების გაუმჯობესებაზე ზრუნვა	11
5.1. კონსულტაცია ჟურნალისტებისთვის	11
5.2. ტრენინგები	11
5.3. შეხვედრები/სემინარები	13
5.4. მედიამონიტორინგი	14
5.5. მედიაკრიტიკა	14
5.6. ახალგაზრდებთან ურთიერთობა	15
6. თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან	17
7. საერთაშორისო თანამშრომლობა	18
8. პროექტების მოკლე მიმოხილვა	19
გადაწყვეტილებები	21

შესავალი

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2016 წლის საქმიანობის მიმოხილვას. წელს პირველად შეიქმნა წლიური ანგარიში. მას ტრადიციული სახე მიეცემა და წარედგინება როგორც საერთო კრებას, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს.

2016 წელი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტით გამოირჩა - გაიზარდა საბჭოში განსახილველად შემოსული განცხადებების რაოდენობა. ქარტიის არსებობის განმავლობაში პირველად განმცხადებლებს შორის იყო არასრულწლოვანიც. ასევე, წელს პირველად შემოვიდა განცხადება მეორე პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ჟურნალისტის იძულებას მოიქცეს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

ისევე როგორც გასულ წელს, 2016 წელსაც გაგრძელდა პროექტების განხორციელება და პარტნიორ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. წელს პირველად ქარტიამ თანამშრომლობა დაიწყო გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) და წინასაარჩევნოდ სატელევიზიო მედიაამონიტორინგი სწორედ ამ პროექტის ფარგლებში განახორციელა.

ასევე 2016 წელს დაიწყო სხვადასხვა საკითხის გაშუქების კონკრეტული სახელმძღვანელო წესების შექმნა, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება ჟურნალისტებს ეთიკური დილემების გადაწყვეტაში.

1. საერთო კრება



საერთო კრება 2015

წესდების თანახმად, ქარტიის უმაღლესი ხელმძღვანელო ორგანოა საერთო კრება. წევრი ჟურნალისტები ყოველი წლის დეკემბერში იკრიბებიან და იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელიც ორგანიზაციის შემდგომი მუშაობის მიმართულებებს განსაზღვრავს. ქარტიის საბჭოს წევრებსაც საერთო კრება ირჩევს.

2015 წლის საერთო კრებაზე წევრებმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს და მოგვიანებით გადაწყვეტილებაც მიიღეს.

პირველი საკითხი, რაც კრებამ განიხილა იყოს საჯარო უწყებებიდან ფინანსების მიღების შესაძლებლობა. საკითხი ელექტრონული ხმის მიცემით გადაწყდა, საერთო კრებამ მიიჩნია,



რომ ქარტიამ არ უნდა მიიღოს რაიმე ტიპის დაფინანსება საჯარო უწყებებისგან.

ამავე კრებაზე საბჭოს მდივანმა წესდებაში შესატანი ცვლილებები წარადგინა, რომელიც გარდა ტექნიკური ხარვეზებისა სამ მთავარ ინიციატივას მოიცავდა:

1. ქარტიის ახალი წევრების მიღება საბჭოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით შეეძლოს. დღეის მდგომარეობით ახალი წევრების მიღება მხოლოდ საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია.
2. საბჭოში განცხადების შეტანისას სავალდებულო არ იყოს მოპასუხე ჟურნალისტის მითითება, რაც დღეს ქმნის პრობლემას. მოპასუხე პირის იდენტიფიცირების ვალდებულება დაეკისროს სამდივნოს. გარდა ამისა, საქმის განხილვისას როდესაც ვერ დგინდება მოპასუხე ჟურნალისტის ვინაობა და რედაქტორიც უარს აცხადებს, მოპასუხედ მიჩნეული იყოს მედიასამუშაუბა.
3. განცხადების დასაშვებობას წყვეტდეს საბჭოს სამდივნო. დღეს განცხადების მიღების შემდეგ მის შესაბამისობას ამოწმებს სამდივნო, რის შემდეგაც ეგზავნება საბჭოს დასაშვებობის განახილველად, რაც დროში აჭიანურებს საქმის განხილვას

შემოთავაზებულ ცვლილებებს კრებამ მხარი დაუჭირა. 2016 წელს საქმის წარმოებაც სწორედ ამ ახალი პროცედურების დაცვით წარიმართა.

IREX-ის მხარდაჭერით, ჟურნალისტური კონკურსის, „ქარტიის პრიზის“, ჩატარება მესამედ მოხერხდა და უკვე ტრადიციული გახდა. გა-

მარჯვებულების დაჯილდოვება, ამჯერადაც, ქარტიის საერთო კრების დასრულებისას შედგა. ოთხ კატეგორიაში (საუკეთესო სტატია, რადიორეპორტაჟი, ვიდეორეპორტაჟი და გამოძიება) კონკურსი გამოცხადდა IREX-ის მხარდაჭერით, ხოლო „ბავშვთა საკითხების სიღრმისეულად გაშუქებისთვის“ პრიზი დაწესდა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ.

გასულ წელთან შედარებით გამრავალფეროვნდა კონკურსში მონაწილე მედიასამუშაულები - პრაქტიკულად ყველა წამყვანმა მედიასამუშაულებამ მიიღო მონაწილეობა. კონკურსანტებს შორის იყვნენ როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონული მედიის წარმომადგენლები.

ჟიურიმ, რომელიც ქარტიის წარმომადგენლებისა და სხვა მედიაპროფესიონალების მიერ შედგებოდა შემდეგი გამარჯვებულები გამოავლინა:

- საუკეთესო სტატია - ზურა ვარდიაშვილი, გიორგი ჭვიშვილი (ლიბერალი) - „ხეობა ჩრდილში“
- საუკეთესო ვიდეორეპორტაჟი-სალომე ცეცხლაძე (სტუდია „მონიტორი“) - „სარეზერვო ფონდის ბუნდოვანი პრიორიტეტები“
- საუკეთესო რადიორეპორტაჟი - ევა ქევანიშვილი (რადიო „თავისუფლება“) - „საქართველოს იეზიდები“
- საუკეთესო ჟურნალისტური გამოძიება - ცქრიალა შერმადინი (სტუდია „მონიტორი“)- „ნაპატიები მილიონები“
- ბავშვთა საკითხების საუკეთესო გაშუქება - ნინო ვახიშვილი (ნეტგაზეთი) - „რას ვასწავლით შვილებს“

2. საბჭოს საქმიანობა

2015 წელს უფლებამოსილების ვადა ამოწურა ქართის საბჭოს სამ წევრს: გიორგი მგელაძეს, ლაშა ზარგინავას და ირაკლი აბსანძეს. ქართის წევრებს უნდა აერჩიათ საბჭოს ახალი სამი წევრი, 1 - დედაქალაქის კვოტით, 2 - რეგიონული კვოტით. საერთო კრებაზე, არჩევნების შედეგად საბჭოს წევრები გახდნენ: დედაქალაქის კვოტით ნინო ჯაფიაშვილი (ჟურნალ „ინდიგოს“ დამფუძნებელი და GIPA-ს ლექტორი), რეგიონის კვოტით კი მაია მამულაშვილი (გაზეთ „კახეთის ხმის“ რედაქტორი) და გერონტი ყალიჩავა (ონლაინგამოცემა livepress.ge-ს დამფუძნებელი და რედაქტორი).

საბჭოს წევრებმა თავმჯდომარედ მეორე ვადით აირჩიეს ნინო ზურიაშვილი.

2016 წელს ქართის საბჭოს შემადგენლობა ასეთი იყო:

1. ნინო ზურიაშვილი
2. მაია მეცხვარიშვილი
3. თაზო კუპრეიშვილი
4. ნინო ჯაფიაშვილი


5. ნინო ნარიმანიშვილი
6. ირინა ყურუა
7. ჯაბა ანანიძე
8. გერონტი ყალიჩავა
9. მაია მამულაშვილი

2.1. განხილული საქმეები

ჟურნალისტური ეთიკის ქართის საბჭომ 2016 წელს 47 განცხადება მიიღო. აქედან 41 ცნობილი იქნა დასაშვებად, 4-მა განცხადებამ კი სხვადასხვა მიზეზის გამო (ხანდაზმულობის ვადა, ჟურნალისტური პროდუქტის არ არსებობა) ვერ გაიარა დასაშვებობის ეტაპი. 1 განცხადება უკან იქნა გახმობილი, 1 განცხადებაზე კი სამდივნო ელოდება დამატებით ინფორმაციას რომ დასაშვებობის საკითხი გადაწყვიტოს.


დასაშვები 41 განცხადებიდან საბჭომ განიხილა 27 საქმე, სამ საქმეზე დამატებითი ინფორმაციის საჭიროების გამო ჯერ ვერ მიიღო გადაწყვეტილება. ყველა მიღებულ გადაწყვეტილებაზე სამოტივაციო ნაწილი გამოქვეყნებულია და მხარეებს ჩაბარდათ.

განცხადებების რაოდენობა



* 2015 წელს განხილული იყო წინა წელს შემოსული განცხადება

დარღვეული პრინციპები 2016



განმცხადებლებს შორის იყვნენ მოქალაქეები, საჯარო უწყებების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველი. გიორგი გაბრიაძე კი პირველი არასრულწლოვანი აღმოჩნდა, რომელმაც ქართიას განცხადებით მომართა. ის მიიჩნევს, რომ ჟურნალში „ჰოროსკოპი+რევიუ“ გამოქვეყნებული მასალით „ზანგი ქართველები“ ქართიას მეშვიდე პრინციპი დაირღვა, რადგან სადავო მასალა ახალისებს დისკრიმინაციასა და სიძულვილის ენას.

განხილული საქმეებიდან უნდა გამოიყოს „იმედის“ ყოფილი ჟურნალისტის, შალვა რამიშვილის განცხადება „იმედის“ გენერალური დირექტორის, გიორგი ბახტაძის წინააღმდეგ. ეს საქმე გამორჩეულია იმით, რომ პირველად შემოვიდა განცხადება ქართიას მეორე მუხლთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება მოიქცეს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ. შალვა რამიშვილის მტკიცებით მასზე განხორციელდა ზენოლა გიორგი ბახტაძის მიერ. რადგანაც გიორგი ბახტაძემ აიძულა წამყვანი გადაცემა „პოლიტიკაში“ [რომლის წამყვანი და პროდიუსერი იყო შალვა რამიშვილი] მოეწვია გიორგი ბახტაძის მიერ მითითებული სტუმრები, რასაც დაემორჩილა. საბჭომ მეორე მუხლის დარღვევა დაადგინა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ შალვა რამიშვილიც საზოგადოებას მოექცა არაკეთილსინდისურად, როდესაც შეიყვანა შეცდომაში როგორც მაცურებლები, ისე

თანანამყვანი თეონა გეგელია. ეთიკური ჟურნალისტიკის მიზნებისათვის შალვა რამიშვილი ვალდებული იყო არ დაქვემდებარებოდა ზენოლის ფაქტს და მის შესახებ დაუყოვნებლივ და საჯაროდ განეცხადებინა.

საქმის განხილვას ესწრებოდა როგორც განმცხადებელი, ისე გიორგი ბახტაძის წარმომადგენელი. გადანყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, იმედის იურისტმა ქართიას სარევიზიო კომისიას მიმართა და მოითხოვა გადანყვეტილების გადახედვა, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ დასაბუთება მიკერძოებული იყო. სარევიზიო კომისიამ პასუხად აცნობა, რომ წესდების თანახმად, მათ კომპეტენციას საბჭოს გადანყვეტილების რევიზია არ მიეკუთვნება. წერილი საჯაროდ გამოაქვეყნა და პროცედურებთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე განმარტებაც დაურთო.

აღნიშნული საქმე ყველაზე ხმაურიანი გამოდგა ქართიას ისტორიაში და ფაქტობრივად ყველა საინფორმაციო გამოშვების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო.

მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა მაუწყებლებმა დაიწყეს გამოხმაურება ქართიაში შემოსულ განცხადებებზე. ნაწილი მათგანი მონაწილეობს საქმის განხილვაში, ნაწილი კი წერილობით წარმოადგენს საკუთარ შეპასუხებას განმცხადებლის ბრალდებებზე.



2.2. საბჭოს საჯარო განცხადებები

საბჭომ შეიმუშავა საჯარო განცხადებების გაკეთების წესი იმისათვის, რომ ერთის მხრივ ადეკვატური და დროული რეაგირება ჰქონოდა ეთიკური სტანდარტების დარღვევის საფრთხეებთან და მეორეს მხრივ ამა თუ იმ მასალაზე წინასწარ აზრის დაფიქსირებით, არ შეეშალა ხელი მოქალაქეებისთვის, შემოეტანათ განცხადება ქარტიაში და გამოეყენებინათ ეს მექანიზმი სტანდარტის დარღვევის დასადგენად. აქამდე საბჭოს განცხადების გამოქვეყნებას სპონტანური სახე ჰქონდა, ვინაიდან არ არსებობდა კონკრეტული კრიტერიუმები, რა შემთხვევაში უნდა დაეფიქსირებინა საბჭოს მოსაზრებები.

ამ წესის თანახმად, განცხადება შეიძლება გამოქვეყნდეს იმ შემთხვევაში თუ:

1. მოსალოდნელია ეთიკური პრინციპების დარღვევა, რამაც შესაძლოა შელახოს ადამიანთა

უფლებები და განცხადების გამოქვეყნებით მოხდება პრევენცია.

2. მედიის მიერ ეთიკური სტანდარტების დარღვევას აქვს განგრძობით ხასიათი.
3. ეთიკური სტანდარტების დარღვევა აშკარაა, თუმცა, ქარტია არ მოიცავს მის შესაბამის პრინციპს, შესაბამისად არ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ მის წინააღმდეგ საბჭოში განცხადება შემოვა.
4. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ხდება ჟურნალისტიკისათვის ხელის შეშლა, ჟურნალისტიკის უფლებების დარღვევა.
5. ჟურნალისტური ეთიკა ირღვევა განსაკუთრებით სენსიტიური საკითხის მიმართ (ბავშვთა უფლებების დარღვევა, გაუპატიურების მსხვერპლის იდენტიფიცირება და სხვა მსგავსი).
6. მიმართულია არა ერთი რომელიმე კონკრეტული მედია პროდუქტისკენ, არამედ მიზნად ისახავს ზოგადად მედიაგარემოს გაუმჯობესებას.

საანგარიშო პერიოდში ქარტიამ როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოალიციის „მედია ადვოკატირებისთვის“ ფარგლებში გამოაქვეყნა 17 განცხადება. მათგან დიდი ნაწილი ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ზეწოლას და პროფესიულ საქმიანობაში სხვადასხვა ტიპის ხელშეშლას ეხებოდა. არაერთი განცხადებით გამოეხმაურა ასევე ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“, „მეესტროს“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

ფაქტობრივად, ქარტიას არ დაუტოვებია ყურადღების მიღმა მედიაში მიმდინარე არც ერთი ფაქტი, რომელიც განცხადების გამოქვეყნების წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქარტიამ 7 აპრილს მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრს და საჯარო მოხელეებისა და ჟურნალისტების კომუნიკაციის პრობლემების მოგვარებაში, საჯარო

რო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში და უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნაში დახმარება სთხოვა. წერილს ქარტიის წევრი ჟურნალისტების გარდა, ხელს აწერდნენ მედიასაშუალებებიც ორგანიზაციულად, ხელმომწერებს შორის იყვნენ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახური, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია (GARB), პრაიმტიამი, ტელეკომპანია „პირველი“, ინგა გრიგოლია, საინფორმაციო ცენტრების ქსელი, საინფორმაციო სააგენტო აქცენტი, მედიასახლი გურია ნიუსი, საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრი, კვლევითი ჟურნალისტიკის და ადვოკატირების ცენტრი და მისი ვებპლატფორმა „ევროპა საქართველოსთვის“, კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი – CCFJ.


მიმართვიდან რამდენიმე დღეში პრემიერ მინისტრი ეროვნული მაუწყებლების ჟურნალისტებს შეხვდა და მათ შევითხვებს უპასუხა.

3. ინსტიტუციური განვითარება

საანგარიშო პერიოდში არ შეცვლილა ქარტიის თანამშრომელთა რაოდენობა ან საქმიანობა. ქარტიის თანამშრომლებად კვლავ რჩებოდნენ:

აღმასრულებელი დირექტორი, ქარტიის თანამშემწე, ქარტიის მდივანი და ბუღალტერი. ქარტიის სტრუქტურა გამოიყურება ამგვარად:

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ორგანიზაციული სტრუქტურა



გარდა ამისა, პროექტების მიხედვით ქარტია თანამშრომლობდა კიდევ არაერთ პირთან. მედიამონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ჟურნალისტები კი საჯაროდ გამოცხადებული კონკურსის წესით შეარჩია.

2016 წელს ქარტიას დაემატა 38 ახალი წევრი. 17-მა წევრმა კი შეიჩერა ქარტიის წევრის სტატუსი, 3-მა კი შეინკვიტა. წევრობის შეჩერების დიდი რაოდენობა გამოწვეულია იმით, რომ ამ დრომდე ქარტიის წევრებად ითვლებოდნენ ის პირებიც, რომლებიც ცნობილია, რომ აღარ ეწევიან ჟურნალისტურ საქმიანობას, თუმცა, ამის შესახებ ოფიციალურად არ მოუმართავთ ქარტიისთვის. წესდების თანახმად, სტატუსის შეჩერება მხოლოდ მომართვის საფუძველზეა შესაძლებელი. ამიტომაც ქარტიის აღმასრულებელი რგოლი პირადად დაუკავშირდა ყველა ასეთ წევრს და სთხოვა სტატუსის შეჩერებისთვის მიემართათ ქარტიის სამდივნოსთვის. ამგვარად, ყველა პასიურმა წევრმა დატოვა ქარტია და დღეს მხოლოდ მოქმედი ჟურნალისტები და რედაქტორები არიან მისი წევრები. ჯამში ქარტიას 298 წევრი ჰყავს 2016 წლის დეკემბრის მონაცემებით. სამოქმედო გეგმის თანახმად დაგეგმილი იყო 15-20 ახალი წევრის დამატება, რაც გადაჭარბებით უკვე შესრულებულია.

საანგარიშო პერიოდში ქარტიამ პირველად კოორდინატორები დანიშნა სამ ქალაქში - ბათუმში ეს პოზიცია მაია მერკვილაძემ დაიკავა, რომელიც წლების განმავლობაში ადგილობრივი ტელევიზიის „ტელეარხი 25-ის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი იყო. ქუთაისში ქარტიის კოორდინატორი ინტერნეტ გამოცემა „ქუთაისიპოსტის“ ვებრედაქტორი თეა ზიბზიბაძეა, თელავში კი - გაზეთ „კახეთის ხმის“ რედაქტორი ნატალია ცისკარიშვილი.

მათი მიზანი ქარტიის აღმასრულებელი რგოლისთვის დახმარებაა ქარტიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და წევრებთან კომუნიკაციაში. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მაია მერკვილაძის მუშაობა აჭარის რეგიონში, სადაც მან რამდენიმე შეხვედრა გამართა და ცდილობდა ქარტიის პოპულარიზაციას.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში შეიჩრა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის

წევრებმა ამ პოზიციაზე ირმა ზოიძე აირჩიეს. 2016 წელს მუშაობა მიმდინარეობდა 2015 წლის ბოლოს შექმნილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად. სადაც აქტივობები გაინერა სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- ქარტიის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება
- ჟურნალისტთა პროფესიული განათლება, უფლებები და მედიაგარემო
- ქარტიის ორგანიზაციული მართვის დახვეწა
- ქარტიის ფინანსური შესაძლებლობების განვითარება

2016 წლის ოქტომბერში გასული წლის მსგავსად ქარტიის წევრებით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა თვითშეფასების დეტალური კითხვარი შეავსო. გასული წლის სამოქმედო გეგმის სრულად შესრულება შედეგებზეც აისახა. თვითშეფასების კითხვარში თითქმის ყველა პუნქტში იყო გაუმჯობესებული მაჩვენებელი.

2017 წლის სამოქმედო გეგმაც ზემოთ აღნიშნულ 4 ძირითად მიმართულებას ეყრდნობა, მაგრამ შეცვლილია დაგეგმილი აქტივობები.

ორგანიზაციული განვითარებისთვის და მდგრადობისთვის აღმასრულებელმა რგოლმა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი შექმნა

- **შრომის შინაგანაწესი** - განერილია ის წესები, რასაც დასაქმებული უნდა იცავდეს ორგანიზაციაში. დარეგულირებულია სამუშაო დრო, შვებულება, სანქციონებისა და ნახალისების საკითხები. შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია.
- **ქვევის კოდექსი** - მოიცავს იმ ღირებულებებს, რასაც უნდა იზიარებდეს ქარტიაში დასაქმებული ყველა პირი. განერილია ისეთი საკითხები, როგორცაა ინტერესთა კონფლიქტი, ორგანიზაციის ურთიერთობა პარტნიორებთან, დონორებთან და სხვა პირებთან. მისი გაზიარებაც სავალდებულოა ქარტიაში დასაქმებული ყველა პირისთვის.
- **მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო** - ქარტიის ერთერთი საქმიანობაა მედიამონიტორინგების გზით მედიაზე დაკვირვება და შეფასება. შესაბამისად, გაინერა ის სახელმძღვანელო პრინციპები, რასაც ქარტიის მიერ განხორციელებული მედიამონიტორინგი

უნდა ეყრდნობოდეს. ჩამოყალიბდა ვინ შეიძლება/არ შეიძლება იყოს დასაქმებული კვლევის ხელმძღვანელის ან მონიტორის პოზიციაზე, რომ კვლევის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვები არ გაჩნდეს.

ასევე სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ქარტიის აღმასრულებელმა რგოლმა მოამზადა შემდეგი დოკუმენტები:

- **საოპერაციო გეგმა**-დოკუმენტში დეტალურად განწერილია პროექტების მიხედვით ყოველ თვე

დაგეგმილი ღონისძიებები პასუხისმგებელი პირის მითითებით, რაც საშუალებას აძლევს აღმასრულებელ რგოლს შესაბამისად გადაანაწილოს აქტივობები და დაგეგმოს მომდევნო პროექტები.

- **კომუნიკაციური ბიუჯეტი** - მოცემულია ქარტიის ფუნქციონირებისთვის ყველა საჭირო ბიუჯეტი, პროექტების მიხედვით გადანაწილებული თანხის ოდენობა, რაც აღმასრულებელ რგოლს სრულ სურათს უქმნის თუ რა თანხაა დამატებით გასათვალისწინებელი და მოსაძიებელი.

4. კომუნიკაცია წევრებთან და დაინტერესებულ პირებთან

გამჭვირვალობისთვის და იმისათვის, რომ როგორც წევრები, ისე ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს ქარტიის მიერ განხორციელებული აქტივობები, ყველა გადაწყვეტილება, შემოსული განცხადება, ახალი ამბები ქვეყნდება ვებსაიტზე. ქარტიის წევრებს ინფორმაცია ეგზავნებათ სოციალური ქსელის მეშვეობითაც. ელექტრონული ფოსტით კი იღებენ პროაქტიულად ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ და ორგანიზაციის ანგარიშს ყოველკვარტალურად.

ამასთან ქარტიის წევრებისთვის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად შეიქმნა საინფორმაციო ბიულეტენი, სადაც მოკლედ არის მიმოხილული თვის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები. ბიულეტენი ეგზავნებათ დონორ, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ინფორმაციის უკეთ გასავრცელებლად და მოსაძიებლად განახლდა ქარტიის ვებსაიტიც. გარდა იმისა, რომ შეიცვალა დიზაინი და ქარტიის ლოგოს ფერებში გადაეწყო, შეიცვალა შინაარსობრივადაც. ახლა შესაძლებელია როგორც განხილული, ისე განსახილველი საქმეების ცალკე-ცალკე პოვნა. გადაწყვეტილებები

დალაგდა დარღვეული პრინციპების მიხედვით. დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, ნახოს თითოეულ პრინციპზე რამდენ შემთხვევაში დადგინდა დარღვევა.

გარდა ამისა, გამოქვეყნებულია სრული სიაც, სადაც მითითებულია საქმის მონაწილე მხარეები, განხილვის დრო და დარღვეული მუხლი წლების მიხედვით. თითოეულ გადაწყვეტილებას თან ახლავს საქმის თანდართული ყველა დოკუმენტი. მათ შორის განცხადება, სადავო მასალა, შეპასუხება (არსებობის შემთხვევაში) და სხვ. რითიც შესაძლებელია სრული წარმოდგენის შექმნა თუ რა პოზიცია ჰქონდათ მხარეებს და რას ეყრდნობოდა საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას.

ვებგვერდს ასევე დაემატა სტატისტიკის განყოფილება, სადაც განთავსებულია ინფორმაცია განხილული საქმეების, დარღვეული მუხლების, ქარტიის წევრთა ტიპების და სამუშაო ადგილების, პოზიციების შესახებ.

განახლდა ბიბლიოთეკის განყოფილებაც, სადაც თავსდება როგორც უცხოური მედიასაშუალებების სარედაქციო სახელმძღვანელო წესები, ასევე აკადემიური ნამუშევრები და წიგნები. ერთად

განთავსდა საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო წესები და რეკომენდაციები.

ქართიამ განაახლა ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსიაც, თარგმნა რამდენიმე გადა-

წყვეტილება, გარდა ამისა, wikipedia.org-ზე შეიქმნა ჟურნალისტური ეთიკის ქართის გვერდი და ორგანიზაციის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

5. მედიის სტანდარტების გაუმჯობესებაზე ზრუნვა

ჟურნალისტური ეთიკის ქართის ძირითადი მიზანი მედიის სტანდარტების გაუმჯობესებაა, შესაბამისად ყველა აქტივობა სწორედ მისკენ არის მიმართული. გარდა საბჭოს მიერ გაცხადებულის განხილვისა და საჯაროდ მოსაზრებების დაფიქსირებისა, სტანდარტების გაუმჯობესებისთვის სხვა ფორმითაც მუშაობს.

5.1. კონსულტაცია ჟურნალისტებისთვის

ჟურნალისტების დახმარება ეთიკური პრობლემების გადაწყვეტაში ქართის ერთ ერთი მთავარი მიმართულებაა. საანგარიშო პერიოდში ქართიაში, აღმასრულებელ დირექტორთან და საბჭოს თავმჯდომარესთან ჯამში 62 გამოხმაურება შევიდა. ჟურნალისტები ქართიას როგორც ტელეფონით, ისე სოციალური ქსელით მიმართავდნენ.

ქართის აღმასრულებელი რგოლი ცდილობს შეცდომებზე პირადი კომუნიკაციის საშუალებით მიუთითოს რედაქციებს და რეკომენდაცია მისცეს მასალის სათანადოდ ჩასწორების მიზნით, როდესაც ჩანს რომ ამა თუ იმ სტატიით, ფოტოს გამოქვეყნებით ზიანი შეიძლება მიაღვეს რომელიმე პირს.

5.2. ტრენინგები

2016 წელს ქართიამ IREX/USAID-ის მიერ პროექტის ფარგლებში 4 ტრენინგი გამართა როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებისთვის. რეგიონიდან 48, თბილისიდან კი 38 ჟურნალისტი მონაწილეობდა. შერჩევისას გათვალისწინებული იყო ტრენინგის და ჟურნალისტის მუშაობის სპეციფიკა, ამასთან უპირატესობა მიენიჭათ იმ წევრებს, რომლებსაც

მანამდე ქართის ტრენინგებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ტრენინგების თემატიკა, რომელიც ქართის წევრებთან კონსულტაციით შეირჩა, ასეთი იყო:

მონაცემთა გადამონმება და ეთიკური გამოწვევები სოციალურ მედიაში


პირველ დღეს ტრენინგს უძღვებოდნენ ინტერნეტ ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის ექსპერტები ნოდარ დავითური და დოდი ხარხელი. მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები როგორცაა როგორ ვრცელდება მცდარი ინფორმაცია სოციალური ქსლების მეშვეობით, რა რესურსები არსებობს მის გადასამონმებლად და როგორ გამოიყენო სოციალური ქსელი ინფორმაციის გადასამონმებლად. ტრენინგის მეორე დღე უფრო მეტად სოციალურ ქსელებთან დაკავშირებულ ეთიკურ დილემებს დაეთმო. „ნეტგაზეთის“ რედაქტორ ნესტან ცეცხლაძესთან ერთად იმსჯელეს ჟურნალისტების ქცევაზე სოციალურ ქსელებში, განიხილეს მაგალითები როგორც ქართული, ისე საერთაშორისო მედიის პრაქტიკიდან.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართლებრივი და ჟურნალისტური მიდგომები

- ამ ტრენინგის მიმართ დაინტერესება ყველაზე დიდი იყო. ტრენინგის პირველ დღეს უძღვებოდა ნინო ჯაფიაშვილი, ჟურნალ „ინდიგოს“ დამფუძნებელი და ჟურნალისტური ეთიკის ქართის საბჭოს წევრი. ამავე დღეს სტუმრად იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მოადგილე ნიკა ბრეგვაძე. ინსპექტორის აპარატმა ტრენინგში მონაწილეობის სურვილი თავად გამოთქვა. პირველი დღე მედიის მიერ პირადი ცხოვრების

ამბის გაშუქების სპეციფიკას დაეთმო, მეორე დღეს კი ტრენინგის მონაწილეებს სამართლებრივი ბაზა და ევროპის სასამართლოს საქმეები გააცნო იურისტმა ბესარიონ ბოხაშვილმა, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელია საქართველოში. ტრენინგისას გაეცნენ ევროპის სასამართლოს პრაქტიკას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ საქმეებზე. განიხილეს ის ეთიკური დილემები, რაც მედიასაშუალებებს როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოში უნევთ გადალახვა.

წინასაარჩევნო კამპანიის და კენჭისყრის დღის გაშუქების სპეციფიკა - ტრენინგში მონაწილეების უმრავლესობა 2016 წელს პირველად აშუქებდა არჩევნებს, ამიტომაც გარდა ზოგადი საკანონდებლო რეგულაციების გაცნობისა, მიიღეს ინფორმაცია იმ დეტალების შესახებ, რასაც უნდა დააკვირდნენ არჩევნების გაშუქებისას. პირველ დღეს ტრენინგს უძღვებოდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ირმა პავლიაშვილი, მეორე დღეს კი გაშუქების სპეციფიკაზე ონლაინ გამოცემა „ნეტგაზეთის“ რედაქტორი, ჟურნალისტური ეთიკის ქართის საბჭოს წევრი მაია მეცხვარიშვილი ესაუბრა. შეასრულეს პრაქტიკული დავალებები და დაგეგმეს თემები, რაზეც შემდეგ შეძლებენ მუშაობას.



სახელმწიფო ბიუჯეტი და მისი მონიტორინგი - ტრენინგის განმავლობაში განიხილეს ბიუჯეტის მომზადების ეტაპები, ყველა ის პარამეტრი, რისგანაც ბიუჯეტი შედგება. ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ უნდა გააშუქოს მედიამ ამ საკითხთან დაკავშირებული თემები და როგორ განახორციელოს საბიუჯეტო სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგი. ტრენინგს უძღვებოდა ბესო ნამჩავაძე, „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) ეკონომიკური ექსპერტი.

ბავშვთა საკითხების გაშუქება - გაეროს ბავშვთა ფონდისა და ქართის ერთობლივი პროექტის ფარგლებში კი ტრენინგები ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით გაიმართა კონკურსის წესით შერჩეულ რედაქციებში.

„რუსთავი 2-ის“ გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველო“, „იმედის“ გადაცემა „დღის შოუ“, აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახური და „ქუთაისი პოსტი“-ის გამოცემებია, სადაც ქართის ტრენინგებმა ნინო ჯაფიაშვილმა და ზვიად ქორიძემ 3 დღის განმავლობაში იმუშავეს. მათ დააგეგმინეს თემები, რაზეც რედაქციამ რამდენიმე მასალა მოამზადა. მისცეს კონკრეტული რჩევები და განიხილეს უკვე მომზადებული მასალები. ტრენინგის მთავარი მიზანი იყო იმის ჩვენება თუ რამდენად მრავალფეროვანია ბავშვებთან დაკავშირებული თემატიკა და როგორ შეიძლება მისი სიღრმისეულად გაშუქება.



5.3. შეხვედრები/სემინარები

ევროპის საბჭოსთან ერთად კი გამართა ვორკშოფი ქართვის საბჭოს წევრებისთვის სოციალური მედიისა და თვითრეგულირების შესახებ. სემინარი მიზნად ისახავდა ეთიკური სტანდარტებისა და მედიის გამავრცელებელთა პასუხისმგებლობის შესახებ ევროპის საბჭოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობას. სემინარის ფარგლებში ევროსაბჭოს ექსპერტებთან ერთად განიხილეს ევროპის წამყვანი თვითრეგულირების ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ჟურნალისტებისთვის კონსულტაციას და რეკომენდაციების მიცემას ისახავდა მიზნად 27 მაისს „ფრონტლაინ კლუბში“ გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად გამართული დისკუსია „მძიმე დაავადების მქონე და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებული საკი-

თხების გაშუქება – ქველმოქმედება თუ ჟურნალისტიკა“.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა, ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და იმსჯელეს თუ რა აქცენტები უნდა დაისვას იმ ბავშვების შესახებ მომზადებულ ჟურნალისტურ მასალებში, რომლებიც ფინანსების არქონის გამო მკურნალობას ვერ ახერხებენ. როგორ უნდა გადაიტრას ჟურნალისტების დილემა- გააშუქონ თუ არა ასეთი ფაქტები კონკრეტული ბავშვის დახმარების მიზნით.

სახელმძღვანელო წესები

მნიშვნელოვანია, რომ ქართია არამხოლოდ ეთიკურ გადაცდომებზე საუბრობდეს, არამედ სთავაზობდეს ჟურნალისტებს საუკეთესო პრაქტიკასაც. ამ მიზნით გამოსცა ექვსი გაიდლაინი:



- ტერორიზმის გაშუქება
- ჟურნალისტთა ინტერესთა კონფლიქტი
- კრიმინალის გაშუქება
- სუიციდის გაშუქება
- კვლევების გაშუქება
- სოციალური მედიის გამოყენება

დოკუმენტებში დეტალურად გაიწერა ის ნიუანსები, რაც უნდა გაითვალისწინოს ჟურნალისტმა ამ თემებთან დაკავშირებით. დოკუმენტები ეყრდნობა საერთაშორისო პრაქტიკას და მორგებულია საქართველოში არსებულ გამოწვევებთან და პრობლემებთან.

ქართვის სახელმძღვანელო წესები არაერთმა უნივერსიტეტის სილაბუსში დამხმარე მასალად განთავსდა.

გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად კი გამოიცა ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები, რომელიც მოიცავს ყველა იმ პრობლემის შესახებ რეკომენდაციებს, რაც მედიამონიტორინგისას გამოიკვეთა.

5.4. მედიამონიტორინგი

ქართვის საქმიანობის შემადგენელი ნაწილია მედიამონიტორინგი, რასაც 2012 წლიდან აქტიურად ახორციელებს. 2016 წელს მედიაზე დაკვირვება რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა:

- ბავშვთა საკითხები
- ტელევიზიები განწყობები პოლიტიკური პარტიებისადმი
- წინასაარჩევნო პერიოდის გაშუქება ტელეემიდიის მიერ

NED-ს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში პირველი მარტიდან ტელევიზიების მონიტორინგი დაიწყო. დაკვირვება სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. მონიტორები აკვირდებოდნენ მაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებსა და პრაიმ ტაიმში გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტოქშოუებს. მონიტორინგის მიზანი იყო ტელეკომპანიების სარედაქციო პოლიტიკის ამა თუ პოლიტიკური ძალისადმი განწყობების შეფასება. დაკვირვება მიმდინარეობდა შემდეგ არხებზე- „რუსთავი 2“, „იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, „ტაბულა“, „კავკასია“, GDS, და



„მესტრო“. შედეგები 2016 წლის ივლისში გამოქვეყნდა.

ქართიამ ორ ორგანიზაციასთან ერთად (CDI, Internews) დაიწყო წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის განხორციელება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში. ქართია აკვირდებოდა მაუწყებლების საინფორმაციო გამოშვებებსა და ტოქშოუებს. ჯამში 4 ანგარიში გამოქვეყნდა.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით კი ბავშვთა საკითხების გაშუქების მონიტორინგის კიდევ ერთი ციკლი დაიწყო. კვლევის მიზანი იყო ელექტრონულ, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში ბავშვთა საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების შესწავლა, ბავშვთა უფლებებთან, ეთიკურ ნორმებსა და სიღრმისეულად გაშუქების პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი. მონიტორინგი 2016 წლის 1 აპრილიდან 30 ნოემბრამდე ტარდებოდა. გამოქვეყნდა როგორც შუალედური, ასევე შემაჯამებელი ანგარიში.

5.5. მედიაკრიტიკა

მედიაჩეკერი არის ჟურნალისტური ეთიკის ქართვის პროექტი, პორტალზე mediachecker.ge ტელე, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში განთავსებული ჟურნალისტური პროდუქტის ანალიზის შედეგებია თავმოყრილი. მონიტორთა ჯგუფი ყოველდღიურად აკვირდება მედიასაშუალებებს და დაფიქსირებული დარღვევებისა და ხარვეზების შესახებ სტატიებს, მოკლე სიახლეებსა და საავტორო სვეტებს ამზადებს.



2016 წლის 20 იანვარს „ფრონტლაინ კლუბში“ მედიაკრიტიკის პლატფორმამ mediachecker.ge-მ საქმიანობა შეაჯამა. შეხვედრაზე მედიაეთიკასთან და პროფესიულ სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

პროექტის მეორე ფაზა კი 2016 წლის თებერვლიდან დაიწყო და აგვისტომდე გაგრძელდა. პროექტი ამჯერად ფონდმა „ღია საზოგადოება-საქართველომ“ დააფინანსა. წლის განმავლობაში ასეულობით მასალა გამოქვეყნდა ახალი ამბის, საავტორო სვეტების, ბლოგპოსტების, სტატიების, მიმოხილვების ფორმატში. ამჯერად აქცენტი უფრო მეტად ანალიტიკურ სიღრმისეულ მასალებზე კეთდა. ასევე საიტს დაემატა ახალი რუბრიკა „მკითხველის გვერდი“, სადაც მოქალაქეებს მედიის შესახებ ბლოგების, სტატიების გამოქვეყნება შეუძლია.


პროექტის ფარგლებში პერიოდულად ტარდებოდა შეხვედრები ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან, სადაც მედიაჩეკერის საქმიანობა და ეთიკურ ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი განიხილებოდა.

მნიშვნელოვანია, რომ მედიაჩეკერი მოხვდა IREX-ის მედიის მდგრადობის ინდექსის ანგარიშში, სადაც აღნიშნულია, რომ „mediachecker.ge-მ გაზარდა ქართული მედიის მგრძობელობა ეთიკური დარღვევების მიმართ“.

პორტალმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მედიის წრეებში სარეკლამო და სარედაქციო მასალების გამიჯვნის პრობლემის წამოწევაში, ამას მოწმობს ისიც, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ მომზადებულ კვლევაში „საქართველოს სარეკლამო ბაზარი: ცვლილებები და გამოწვევები“ „მედიაჩეკერი“ რამდენჯერმეა მოხმობილი წყაროდ სწორედ დაფინანსებულ კონტენტზე მსჯელობისას.

5.6. ახალგაზრდებთან ურთიერთობა

ჟურნალისტური ეთიკის ქართია პროექტს „ლიბცენტრი“ 2013 წლიდან ახორციელებს NED-ის დახმარებით. 2016 წელს 46 სტუდენტი კონკურსის წესით შეირჩა პროექტში მონაწილეობის მისაღებად. შერჩეული სტუდენტები გარდა იმისა, რომ ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების შესახებ ისმენენ საჯარო ლექციებს, ვებსაიტზე Libcenter.ge აქვეყნებენ მასალებს მიმდინარე ამბების და იმ პრობლემების შესახებ, რაც ახალგაზრდებს აწუხებთ, აგრეთვე აშუქებენ სხვადასხვა ამბებს და იძენენ სამოქალაქო ჟურნალისტიკისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. მათ მიერ გადაღებული რეპორტაჟების თუ სხვა მასალების ნახვა შესაძლებელია როგორც ვებგვერდზე - libcenter.ge/ ასევე Facebook გვერდზე - <https://www.facebook.com/libcenter/> იქიდან გამომდინარე, რომ პროექტში სხვადასხვა



უნივერსიტეტის და ფაკულტეტის აქტიური სტუდენტები მონაწილეობენ, ისინი შემდეგ ხელს უწყობენ ქარტიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, რიგ შემთხვევებში ესწრებიან კიდევ საბჭოს სხდომებს.

გარდა ამ პროექტისა, ქარტია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, 2016 წელსაც ჩაატარა ლექციები სტუდენტებთან და თვითრეგულირების მნიშვნელობაზე ესაუბრა. შეხვედრები გაიმართა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, კავკასიის მედიასკოლაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ქარტიამ ასევე უმასპინძლა მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის პროექტის მონაწილე სტუდენტებს და ქარტიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიანოდა.

სასიხარულოა, რომ არაერთმა სტუდენტმა საბაკალვრო თუ სამაგისტრო ნაშრომის თემად

ეთიკური პრობლემები აირჩია. შესაბამისად ინფორმაციის მისაღებად თუ სიდრმისეული ინტერვიუს ჩასატარებლად მომართავდნენ ქარტიას. ჯამში ორგანიზაციამ 10 სტუდენტს გაუწია დახმარება. მათ შორის იყვნენ სტუდენტები შემდეგი უმაღლესი სასწავლებლებიდან - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კავკასიის მედიასკოლა, საქართველოს უნივერსიტეტი, ვარშავის უნივერსიტეტი. მათი ინტერესს იწვევდა შემდეგი საკითხები - ბავშვების გაშუქება, სიძულვილის ენა, თვითრეგულირება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მედიაში გამოყენება.

უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობა სხვა ფორმატშიც მიმდინარეობდა- პროფესორ მასწავლებლებს ქარტია ინტენსიურად უგზავნიდა ინფორმაციას აქტივობების შესახებ ამასთან იწვევდა ყველა შეხვედრაზე, რაც ქარტიის ინიციატივით გაიმართა საკუთარი მოსაზრებების დასაფიქსირებლად.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქარტიის აღმასრულებელმა დირექტორმა და პროექტ მედიაჩეკერის რედაქტორმა გამართეს შეხვედრა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ბავშვებთან და მათი საკითხების მედიაში გაშუქებაზე ისაუბრეს. მოისმინეს ბავშვების მოსაზრებები რა ხარვეზებს ხედავენ ისინი მედიაში ბავშვების შესახებ მომზადებულ მასალებში. ამის შემდეგ კი თავად არასრულწლოვნებმა დაწერეს ბლოგპოსტები მედიაჩეკერისთვის და ისაუბრეს მედიის მიერ ბავშვების გაშუქების შესახებ.

6. თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან

2016 წელსაც გაგრძელდა ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. ქარტია ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრია კოალიციაში „მედია ადვოკატირებისთვის“. მის ფარგლებში გამართულ ყველა შეხვედრას ესწრებოდა ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი, მონაწილეობდა აქტივობების დაგეგმვაში. როგორც აღმასრულებელი დირექტორი, ასევე საბჭოს მდივანი აკეთებდა მოხსენებს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამართულ კონფერენციებისას.

ამასთან აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ტელეკომპანიის ირგვლივ განვითარებულ ამბებში, არაერთ ინტერვიუში დააფიქსირა ქარტიის პოზიცია, სადაც აქცენტს აკეთებდა ჟურნალისტთა უფლებებზე. პროცესზე დაკვირვების მიზნით ესწრებოდა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ სასამართლო პროცესებს, მაუწყებელში გამართულ დახურულ შეხვედრებს. მონაწილეობდა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში.

28 ივნისს ქარტია მონაწილეობდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ინიციატივით გამართულ სამუშაო შეხვედრაზე. შემუშავდა ლგბტ საკითხებთან დაკავშირებით სტრატეგიული შინაარსის დოკუმენტის და შესაბამისი რეკომენდაციების პაკეტის საპროექტო ვერსია. რეკომენდაციები ეხება მედიის ნაწილსაც.

ქარტია გახდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წევრი, ჩაერთო პირველ სამუშაო ჯგუფში, რომელიც მედიის საკითხებზე მუშაობს.

ქარტია თანამშრომლობდა სახელმწიფო უწყებებთანაც. აღმასრულებელი დირექტორი ჩაერთო უზენაესი სასამართლოს მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომლის მიზანი სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჯაროვების წესის შემუშავება იყო და ქარტიის საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად მოამზადა რეკომენდაციები.

გაიმართა შეხვედრა სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების ცენტრის უფროსთან, განიხილული იყო ბავშვთა საკითხების გაშუქების პრობლემური საკითხები და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები.

ჩართული იყო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ინიცირებული ცვლილებების განხილვაშიც.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ 2015 წელს ქარტიის ინიციატივით მაუწყებლებმა გააფორმეს მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც, აიღეს ვალდებულება ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებით თვითრეგულირების ორგანო განიხილავდა ყველა პირის განცხადებას მიუხედავად იმისა, იყო ის დაინტერესებული (როგორც კანონშია) თუ არა. ამის შესამოწმებლად თუ რამდენად ასრულებდნენ მაუწყებლები აღებულ ვალდებულებას ქარტიამ რამდენიმე საჩივრით მიმართა. ტელეკომპანია „მაესტრომ“ არ დაუშვა განსახილველად და აღნიშნა, რომ გასაჩივრების ათდღიანი ვადა ქარტიას გაშვებული ჰქონდა. ქარტია კი მიიჩნევდა, რომ ათდღიანი ვადა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის თანახმად მხოლოდ ინფორმაციის შესწორების ნაწილშია დაწესებული და სხვა შემთხვევაში ვადა დადგენილი არ არის. პრაქტიკის გაუმჯობესების და განმარტებების მიღების მიზნით, ტელეკომპანია „მაესტროს“



ფოტოს ავტორი: CIDA

უარი ქარტიამ მარეგულირებელ კომისიაში გაასაჩივრა. კომისიამ ქარტიის არგუმენტაცია გაიზიარა. ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, გაიცა ცალსახა განმარტება, რომ ათდღიანი ხანდაზმულობის ვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აითვალოს მაუწყებელმა, როდესაც განმცხადებელი მასალის შესწორებას ითხოვს.

ქარტია შეხვდა კერძო ბიზნესის წარმომადგენლებსაც. 20 მარტს სოციალური პასუხის-

მგებლობის კლუბის შეხვედრაზე აღმასრულებელმა დირექტორმა მოხსენება გააკეთა მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებზე და აუხსნა მათ როგორ შეიძლება ბიზნესის ახალი ამბავი გაშუქდეს ისე რომ არ მიეცეს მას რეკლამის სახე, როგორ უნდა მიაწოდონ ახალი ამბავი მედიას, რომელი შეიძლება იყოს ინფორმაციული ღირებულების და რომელი-არა. ისაუბრა სარეკლამო და სარედაქციო მასალის გამიჯვნაზეც.

7. საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია არის ევროპის დამოუკიდებელი პრესის საბჭოების ალიანსის (AIPCE) წევრი ორგანიზაცია, ალიანსი აერთიანებს თვითრეგულირების ორგანოებს, შესაბამისად, საქმის კურსში იმ ეთიკური გამონკვევების, რომლის წინაშეც სხვა ქვეყნის თვითრეგულირების ორგანოები დგანან.

ევროპის საბჭოს დახმარებით ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი ნატა ძველიშვილი და საბჭოს წევრი ნინო ჯაფიაშვილი იმყოფებოდნენ სტოკჰოლმში, სადაც AIPCE-ს ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა. ნატა ძველიშვილის ინიციატივით საქართველო დასახელდა 2019 წელს ყოველწლიური შეკრების მასპინძელ ქვეყანად. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს სხვა ქვეყნებმაც და შესაბამისად სამი წლის შემდეგ ამ მნიშვნელოვან მოვლენას საქართველო უმასპინძლებს, რაც დაეხმარება ქვეყანაში თვითრეგულირების მექანიზმის განვითარებას.

ასევე ევროპის საბჭოს დახმარებით შეიქმნა თვითრეგულირების რეგიონული ქსელი, რომლის წევრები არიან საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა, ბელორუსი და რუსეთი. ამავე ქსელის ფარგლებში შეიქმნა საბჭო, სადაც თითოეულ ქვეყანას ერთი წარმომადგენელი ჰყავს. საქართველოდან საბჭოში მაია მეცხვარიშვილია წარდგენილი. რეგიონული საბჭოს მიზანია ერთად განიხილონ პროპაგანდასთან დაკავშირებული საჩივრები. ამასთან, დაეხმარონ მოქალაქეებს სხვა ქვეყნის პრესის საბჭოში განცხადების შეტანაში.

საქმის წარმოების წესი დამტკიცდა ყოველწლიურ შეკრებაზე, რომელიც 16-17 ივნისს ევროპის საბჭოს თბილისის ოფისთან ერთად გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ბალკანეთის ქვეყნების ქსელის წევრი მედიის თვითრეგულირების ორგანოებიც. ორმა ქსელმა ერთმანეთს გაუზიარა გამოცდილება და მუშაობის სპეციფიკა.

კონფერენციაში მონაწილეებს შორის იყვნენ წარმომადგენლები 11 ქვეყნიდან მათ შორისაა - უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ბელორუსი, სერბეთი, მონტენეგრო, რუსეთი, ალბანეთი, მაკედონია და ბოსნია და ჰერცეგოვინა. ორდღიან კონფერენციაზე განიხილეს ისეთი საკითხები როგორცაა თვითრეგულირების ორგანოების გამონკვევები, მედიაში არსებული თანამედროვე ეთიკური დილემები, მისი განმცხვეტის გზები, პროპაგანდასთან ბრძოლა და სხვა.

ქარტია ჩაერთო საერთაშორისო პროექტშიც, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის (CSF) ფარგლებში ხორციელდება - რუსული მედიის ანალიზის შედეგად შემუშავდა 44 მესიჯი, რომელიც რუსულ პროპაგანდას ემსახურება. შეირჩა 2-2 მედიასაშუალება საქართველოში, მოლდოვაში, სომხეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში, სადაც მონიტორთა ჯგუფი აკვირდება, თუ როგორ ვრცელდება ზემოაღნიშნული მესიჯები ამ მედიასაშუალებებით. პროექტის ინიციატორი ერევნის პრეს კლუბი იყო.



8. პროექტების მოკლე მიმოხილვა



დონორი: IREX/USAID

თარიღი 01.10.2015-01.10.2016

პროგრამა: „მედია გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობისთვის - M_TAG“

პროექტი: ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ეთიკური და ანგარიშვალდებული მედიის განვითარებისთვის

2014 წლიდან ქარტია გახდა IREX-ის პარტნიორი შემდგომი 5 წლის განმავლობაში. პარტნიორობის ფარგლებში დაწყებული თანამშრომლობის პირელი ეტაპი მიზნად ისახავს ქარტიის ორგანიზაციული განვითარების და ინსტიტუციური მდგრადობის ხელშეწყობას, უზრუნველყოფს მის ძირითად საქმიანობასა და საჭიროებებს. ითვალისწინებს ტრენინგებს ჟურნალისტებისთვის. ამ პროექტის ფარგლებში ფინანსდება საერთო კრება, წევრთა ტრანსპორტირება, ქარტიის პრიზი. საბჭოს სხდომისთვის რეგიონულ წევრთა ჩამოსვლისა და დარჩენის ხარჯი.



დონორი: ფონდი დია საზოგადოება - საქართველო

თარიღი: 1.02.2016-30.07.2016

პროექტი: მედიის თვითრეგულირების გაძლიერება სამოქალაქო და სამართლებრივი განათ-

ლების მეშვეობით

პროექტის ფარგლებში განვითარდა მედიაკრიტიკის ერთადერთი პლატფორმა საქართველოში www.mediachecker.ge, სადაც ტელე, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში განთავსებული ჟურნალისტური პროდუქტის ანალიზის შედეგებია თავმოყრილი. მონიტორთა ჯგუფი ყოველდღიურად აკვირდებოდა მედიასაშუალებებს და დაფიქსირებული დარღვევებისა და ხარვეზების შესახებ სტატიებს, მოკლე სიახლეებსა და საავტორო სვეტებს ამზადებდა. პროექტის მიზანი მედიის თვითრეგულირების გაძლიერება და ეთიკური სტანდარტების დამკვიდრებაა.



დონორი: NED

თარიღი - 1.02.2015-31.01.2016

პროექტი: საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის აქტივობები

პროექტი 2 კომპონენტს მოიცავდა - 1. მედიამონიტორინგი ტელემედიის განწყობა პოლიტიკური პარტიებისადმი და 2. ლიბცენტრის განვითარება. „ლიბცენტრი“ 2013 წელს დაიწყო და უკვე სამი წელია გრძელდება. 2016 წელს პროექტი ორი წლით დაფინანსდა. 2016 წელს კონკურსის წესით შერჩეულმა 42-მა სტუდენტმა გაიარა სალექციო კურსი ლიბერალური და

დემოკრატიული ღირებულებების შესახებ, სამოქალაქო ჟურნალისტიკის შესახებ. ამასთან სტუდენტები აკეთებდნენ სხვადასხვა ტიპის მასალებს - ბლოგპოსტები, ფოტო და ვიდეო რეპორტაჟები.



დონორი: EaP Civil Society Forum
პარტნიორი ორგანიზაცია:
Yerevan Press Council
თარიღი: 1.05 – 30.09.2016



დონორი: UNICEF
თარიღი: 01.04.2016 – 15.12.2016
პროექტი - ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება მედიაში

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბავშვთა საკითხების მედიამონიტორინგი და ჩატარდა ტრენინგები მედიასაშუალებებისთვის. მონიტორინგის ქვეშ მოხვდა ყველა მედიასაშუალება, ტიპისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად. მონიტორინგის ჯგუფი მუშაობდა IPM მონიტორინგის სერვისის საშუალებით, რომელიც საშუალებას გვაძლევს გაფილტრულად მივიღოთ ყველა ჟურნალისტური ნამუშევარი, რომელიც უშუალოდ ბავშვებს შეეხება. გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად მომზადდა ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები და შემთხვევათა ანალიზი. პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგები რედაქციებში, რომლებიც კონკურსის წესით შერჩნენ.

დონორი: UNDP
თარიღი - 20.05-20.12.2016
პროექტი: არჩევნების გაშუქება



*Empowered lives.
Resilient nations.*

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტელემედიის წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი. ქართია იყო UNDP-ს კონტრაქტორი სხვა ორ ორგანიზაციასთან ერთად და ფაქტობრივად მომსახურება მიაწოდა დამკვეთ ორგანიზაციას. ქართია აკვირდებოდა როგორც ახალი ამბების გაშუქებას პრაიმ ტაიმში, ასევე ტოქშოუებს, შესაბამისად 2 გრანტი მიიღო ამ მიმართულებით საინფორმაციო გამოშვების და ტოქშოუების დასამონიტორინგებლად ახალ ამბები 7 თვის განმავლობაში მონიტორინგდებოდა, ტოქშოუები კი 5 თვის მანძილზე.

პროექტი განხორციელდა ერევნის პრეს კლუბთან თანამშრომლობით. ამ ორგანიზაციამ მოიგო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის გრანტი და საქართველოში პარტნიორად საქართველო შეარჩია. თანხაში შედის აზერბაიჯანელი კოლეგების ჰონორარიც, რადგან სომხეთს არ შეეძლო პირდაპირ გადარიცხვა, ამიტომ ჩვენ დავიჭირავეთ აზერბაიჯანელი კოლეგა, რომელსაც გადავურიცხეთ ჰონორარი.

პროექტის ფარგლებში რუსული მედიის ანალიზის შედეგად შემუშავდა 44 მესიჯი, რომელიც რუსულ პროპაგანდას ემსახურება. შეიქმნა 2-2 მედიასაშუალება საქართველოში, მოლდოვაში, სომხეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში, სადაც მონიტორთა ჯგუფი 1 თვის განმავლობაში აკვირდებოდა, თუ როგორ ვრცელდება ზემოაღნიშნული მესიჯები ამ მედიასაშუალებებით.

საქართველოში ვაკვირდებოდით სპუტნიკსა და ობიექტივს. შედეგების პირველადი პრეზენტაცია გაიმართა 28 ნოემბერს ბრიუსელში.

დანართი 1 გადაწყვეტილებები

შალვა რამიშვილი გიორგი ბახტაძის წინააღმდეგ

გადაწყვეტილება N 94

08 მაისი 2016 წელი

საბჭოს თავმჯდომარე: ნინო ზურიაშვილი

საბჭოს წევრები: ნინო ნარიმანიშვილი, თაზო კუპრეიშვილი, ნინო ჯაფიაშვილი, მაია მამულაშვილი, მაია მეცხვარიშვილი.

განმცხადებელი: შალვა რამიშვილი

მოპასუხე: გიორგი ბახტაძე

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართვის საბჭოს განცხადებით მომართა შალვა რამიშვილმა. განმცხადებლის პოზიციით მასზე განხორციელდა ზეწოლა ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის გიორგი ბახტაძის მიერ. კერძოდ, 2015 წლის 17 და 18 დეკემბერს შალვა რამიშვილსა და გიორგი ბახტაძეს შორის განხორციელდა მიმოწერა საკომუნიკაციო საშუალება Viber-ის მეშვეობით, რომლის დროსაც გიორგი ბახტაძე შალვა რამიშვილს სთხოვდა გადაეცემა „პოლიტიკაში“ [რომლის წამყვანი და პროდიუსერი იყო შალვა რამიშვილი] მოეწვია გიორგი ბახტაძის მიერ მითითებული სტუმრები.

საქმის განხილვის დროს სხდომას დაესწრო განმცხადებელი შალვა რამიშვილი, ასევე მოპასუხის წარმომადგენელი აკაკი გიგინეიშვილი.

სამოტივაციო ნაწილი:

ქართვის მეორე პრინციპის მიხედვით „დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ“.

განმცხადებელმა იძულების ფაქტის დასადასტურებლად წარმოადგინა საკომუნიკაციო საშუალება Viber-ის მეშვეობით განხორციელებული მიმოწერა, რომლის ავთენტურობა მოპასუხე მხარეს ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

როგორც განმცხადებელმა აღნიშნა, მას დაგეგმილი ჰქონდა გადაეცემა „პოლიტიკაში“ ლევან მურუსიძის მონწევა და ასევე სურდა, რომ გადაეცემაში მონაწილეობა მიეღოთ აღნიშნული პირის ოპონენტებს, ლევან მურუსიძისათვის კრიტიკული კითხვების დასმის მიზნით.

2015 წლის 17 - 18 დეკემბრის მიმოწერის თანახმად დგინდება, რომ ოპონენტების შერჩევის პროცესში ჩაერთო გიორგი ბახტაძე, რომელიც სთხოვს შალვა რამიშვილს, რომ ოპონენტების სახით მოიწვიოს მოქმედი მოსამართლეები ტყავაძე, გვრიტიშვილი, ალანია და გაბინაშვილი. ასევე აწვდის მათ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებს. შალვა რამიშვილის დამაზუსტებელ კითხვაზე, დაუპირისპირდებიან თუ არა ეს მოსამართლეები ლევან მურუსიძეს, გიორგი ბახტაძე პასუხობს, რომ „დაუპირისპირდებიან“.

როგორც მიმოწერიდან ჩანს და რაც საქმის განხილვისას ასევე დაადასტურა შალვა რამიშვილმა, ის დაუკავშირდა მითითებულ მოსამართლეებს და დაადგინა, რომ მოსამართლეები არ იყვნენ ლევან მურუსიძის რეალური ოპონენტები, შესაბამისად, შალვა რამიშვილი არ დაეთანხმა გიორგი ბახტაძეს რომ მოეწვია მოსამართლეები ტყავაძე, გვრიტიშვილი, ალანია და გაბინაშვილი.

აღნიშნულის შემდეგ, გიორგი ბახტაძე მოთხოვნის ფორმით სწერს შალვა რამიშვილს „მოსამართლეები დაიბარეთ, ვინც მოგწერეთ, ესენი დაუპირისპირდებიან“, აღნიშნული მესიჯით ცალსახაა, რომ გიორგი ბახტაძე ცდილობს, ჩაერიოს ჟურნალისტის სარედაქციო დამოუკიდებლობაში.

საპასუხოდ შალვა რამიშვილმა დააბუსტა, რომ მოსამართლეებს კრიტიკული კითხვები არ ჰქონდათ ლევან მურუსიძის მიმართ და კიდევ ერთხელ გამოხატავს მის უარყოფით დამოკიდებულებას გიორგი ბახტაძის მიერ მითითებული მოსამართლეების მონვევასთან დაკავშირებით. გიორგი ბახტაძე შემდეგ ატყობინებს შალვა რამიშვილს, რომ „მოძებნიან ახლა სხვებს“, იგულისხმება, რომ ქარტიის საბჭოსათვის უცნობი პირი/პირები შეურჩევნ შალვა რამიშვილს სხვა რესპოდენტებს, რომლებიც შალვა რამიშვილმა უნდა მოიწვიოს გადაცემაში, საბჭოს პოზიციით სწორედ დავალებულების ხასიათს ატარებს გიორგი ბახტაძის შეტყობინებები და მისი სურვილია, რომ შალვა რამიშვილმა აუცილებლად მოიწვიოს გიორგი ბახტაძის მიერ მითითებული პირები. მიმოწერაში შალვა რამიშვილი კიდევ არა ერთხელ ცდილობს აუხსნას გიორგი ბახტაძეს, რომ მითითებული მოსამართლეების მონვევა არ შედის მის/გადაცემის ინტერესებში, რომ რეალურად ისინი არ არიან მურუსიძის ოპონენტები და არ უპირისპირდებიან მას. მიუხედავად ამისა, გიორგი ბახტაძე კვლავ კატეგორიული ტონით უთითებს შალვა რამიშვილს, რომ „[მოიწვიეთ] ერთი სიიდან [იგულისხმება მოსამართლეთა სია] ერთი ოპონენტი“ „ოკ. დაუსვით რეალური ოპონენტი და ერთი ამ სიიდან“, ეს შეტყობინებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გიორგი ბახტაძის მიერ მითითებული მოსამართლეები რეალურად არ იყვნენ ლევან მურუსიძის ოპონენტები. მიმოწერის თანახმად გიორგი ბახტაძეს შეუძლია უზრუნველყოს, რომ მის მიერ მითითებულმა მოსამართლემ დაუსვას ლევან მურუსიძეს ის კითხვები, რომლებიც შალვა რამიშვილს სურს – „მითხარი ვინ [იგულისხმება მოსამართლე] გინდა და ექნება [იგულისხმება კრიტიკული კითხვა]“.

გემოაღნიშნული შეტყობინებების შემდეგ შალვა რამიშვილი კვლავ არ იყო თანახმა, რომ მოეწვია მოქმედი და გიორგი ბახტაძის მიერ მითითებული მოსამართლეები.

მიმოწერა გრძელდება დაახლოებით საათნახევრის შემდეგ, შალვა რამიშვილი აცნობებს გიორგი ბახტაძეს, რომ დაურეკა მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილმა [რომელიც ბახტაძის მიერ მითითებულსიაში იყო] და შალვა რამიშვილი

ამჯერად უკვე გამოთქვამს თანხმობას, რომ მოიწვიოს დიმიტრი გვრიტიშვილი, ხოლო მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც დიმიტრი გვრიტიშვილმა წინასწარ აცნობა შალვა რამიშვილს თუ რა კითხვას დაუსვამდა ლევან მურუსიძეს, შალვა რამიშვილი სწერს, რომ: „მოკლედ ძალიან დურაკულად გამოჩნდება, ასეთი „მძაფრი“ შეკითხვა, მე ვფიქრობ, რომ მაგარი დამწვარი პონტია“.

შემდგომ დღეს, 18 დეკემბერს, ჩანს, რომ უკვე საუბარი შედგა გიორგი ბახტაძეს და შალვა რამიშვილს შორის ისევ Viber-ის მეშვეობით, შალვა რამიშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ სატელეფონო საუბრისას გიორგი ბახტაძემ კიდევ ერთხელ მოსთხოვა მას დასახელებული მოსამართლეების მონვევა და ასევე ყურადღება გაუმახვილა გადაცემის რეიტინგზე.

შემდგომ გიორგი ბახტაძე წერს: „გაბინაშვილი [მოსამართლე] + ტყავაძე [მოსამართლე] + შავგულიძე“, შალვა რამიშვილი პასუხობს „ხო“. საბოლოოდ გადაცემაში ლევან მურუსიძის „ოპონენტების“ სტატუსით მოიწვიეს მოსამართლეები: მერაბ გაბინაშვილი, დიმიტრი გვრიტიშვილი და გიორგი ტყავაძე, რომელნიც შალვა რამიშვილის აზრით, რეალურად არა თუ არ იყვნენ ოპონენტები, არამედ ლევან მურუსიძის გუნდის წევრები იყვნენ [შალვა რამიშვილის ერთ – ერთი შეტყობინება: „ერთი კამანდაა“].

საქმის განხილვისას მოპასუხის წარმომადგენელმა მიმოწერასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი და მისი პოზიციით, ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, რომ გიორგი ბახტაძე გარდა გენერალური დირექტორის პოზიციისა, ასევე ითავსებდა მთავარი რედაქტორის მოვალეობებსაც და მონაწილეობას იღებდა გადაცემების დაგეგმვაში. აღნიშნული ფაქტი დაადასტურა შალვა რამიშვილმაც, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ მანამდე ზეწოლას ადგილი არ ჰქონია და გადაცემები იგეგმებოდა მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ყოველივე გემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ აშკარა იყო გიორგი ბახტაძის მხრიდან შალვა რამიშვილის სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფა და ზეწოლა, რომ სწორედ ის პირები მოეწვია,

რომლებიც მას სურდა. მიუხედავად იმისა, რომ შალვა რამიშვილმა არა ერთხელ განაცხადა უარი კონკრეტული პირების მოწვევაზე, გიორგი ბახტაძე დაჟინებით სთხოვდა სწორედ ამ პირების მოწვევას. გიორგი ბახტაძის შეტყობინებები რომელიც ადასტურებენ ზენოლას: „მოსამართლეები დაიბარეთ ვინც მოგწერე“ „მოძებნიან ახლა სხვებს“ „ერთი ამ სიიდან [მოინვიეთ] ერთი ოპონენტი“ „დაუსვით რეალური ოპონენტი და ერთი ამ სიიდან“ „მითხარი ვინ გინდა და ექნება“ „[მოინვიეთ] გაბინაშვილი + ტყავაძე + შავგულიძე“.

გიორგი ბახტაძისათვის ცნობილი იყო, რომ მის მიერ დასახელებული პირები არ იყვნენ ლევან მურუსიძის რეალური „ოპონენტები“, მაგრამ იგი არაერთგზის მიუთითებდა შალვა რამიშვილს, რომ სწორედ ეს მოსამართლეები მოეწვია, რითაც არა მარტო ზენოლას ახდენდა შალვა რამიშვილზე, არამედ წინასწარ განზრახვით მაყურებელს სთავაზობდა ხელოვნურ დებატებს, რომლის უკანაც რეალური დაპირისპირება არ იდგა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ გიორგი ბახტაძე არის ტელეკომპანია „იმედის“ გენერალურ დირექტორი და სწორედ მისი კომპეტენციაა შალვა რამიშვილთან დავაშორებული საკონტრაქტო ურთიერთობის სამართლებრივი ბედის განსაზღვრა, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ბახტაძეს პირდაპირ არ მიუთითებია რაიმე სანქციაზე, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა მისი მოთხოვნების შეუსრულებლობას, გადაცემის რეიტინგზე ხაზგასმა და ასევე მისი თანამდებობრივი მდგომარეობა, შალვა რამიშვილისთვის ლეგიტიმურ მოლოდინს ქმნიდა, რომ მოთხოვნების არ შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელია ამას ზეგავლენა მოეხდინა შალვა რამიშვილის სამსახურებრივ კონტრაქტზე.

თავის მხრივ საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს შეაფასოს შალვა რამიშვილის ქმედებები ეთიკური ჟურნალისტიკის ჭრილში. მართალია, შალვა რამიშვილი თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდა დაკვეთით რესპოდენტების მოწვევას, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაექვემდებარა ზენოლას და მაყურებელს შესთავაზა ხელოვნური დებატები და შეიყვანა შეცდომაში როგორც მაყურებლები, ისე თანაზამყვანი თეონა გვგელია [რომლისთვისაც არ იყო ცნობილი, რომ მოწვეული მოსამართლეები რეალურად ოპონენტები

არ იყვნენ]. ეთიკური ჟურნალისტიკის მიზნებისათვის შალვა რამიშვილი ვალდებული იყო არ დაქვემდებარებოდა ზენოლის ფაქტს და მის შესახებ დაუყოვნებლივ და საჯაროდ განეცხადებინა.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია:

- გიორგი ბახტაძემ დაარღვია ქართის მეორე პრინციპი.

გიორგი გაჩეჩილაძე ელისო კილაძის წინააღმდეგ

გადანყვეტილება N 89

07 ივნისი 2016 წელი

საბჭოს თავმჯდომარე: ნინო ბურიაშვილი

საბჭოს წევრები: მაია მეცხვარიშვილი, გერონტი ყალიჩავა, ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, მაია მამულაშვილი

განმცხადებელი: გიორგი გაჩეჩილაძე

მოპასუხე: ელისო კილაძე

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართის საბჭოს განცხადებით მომართა გიორგი გაჩეჩილაძემ, რომელიც მიიჩნევდა, რომ ვებ გვერდ <http://qronikaplus.ge/>-ზე გამოქვეყნებული სტატიით „უცნობი მანქანა – ვინ გაჩეჩილაძეს ერთი მილიონი ვანო ჩხარტიშვილმა გადაუხადა?“ დაირღვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართის პირველი პრინციპი.

საქმის განხილვის დროს სხდომას დაესწრო განმცხადებლის წარმომადგენელი ნანა ჭკუასელი, მოპასუხე მხარემ, ელისო კილაძემ, საბჭოს კითხვებს ტელეფონით უპასუხა.

სამოტივაციო ნაწილი:

ქართის პირველი პრინციპის მიხედვით „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“. საქმის ზეპირი განხილვის დროს,

განმცხადებლის წარმომადგენელმა დააბუსტა, რომ სადავო სტატიაში მოცემული ფაქტები არ შეესაბამებოდა სიმართლეს და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა შემდგომი ფაქტობრივი გარემოების უზუსტობას: „[ძმები გაჩეჩილაძეებისგან] თანხმობის მიღების შემდეგ კი ფულის გადახდა [ძმები გაჩეჩილაძეებისათვის] ვანო ჩხარტიშვილისთვის დაუვალეზიანათ იმ პირობით, რომ ბიძინა ივანიშვილი მოგვიანებით მას ამ თანხას გაუსტუმრებდა. გადაიხადა თუ არა ჩხარტიშვილის ვალი ივანიშვილმა, ჩვენი წყარო ვერ აკონკრეტებს, მაგრამ მინდობილობა გაფორმებულა და გია გაჩეჩილაძეს ვალდებულებაც აუღია, რომ მის კუთვნილ წილს დანარჩენ დამფუძნებლებს გაუფორმებდა“. თავის მხრივ ელისო კილაძემ აღნიშნა, რომ მას ზემოაღნიშნული ინფორმაცია კონფიდენციალურმა წყარომ მიანოდა. პირველი პრინციპთან დაკავშირებით ქარტიის საბჭო განმარტავს, რომ პირველი პრინციპის დაცვისათვის აუცილებელია ჟურნალისტმა მისთვის მიწოდებული ინფორმაცია გადაამოწმოს სხვა რელევანტურ წყაროსთან, მათ შორის მნიშვნელოვანია, რომ ყველა ღონე იხმაროს რათა ფაქტზე კომენტარი მოიპოვოს იმ პირისაგან, ვისაც ეს ფაქტი ეხება, აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების უფლება რომ მიიღოს სრული და გადამოწმებული ინფორმაცია ან/და იცოდეს ყველა მხარის შეფასება/პოზიცია, ფაქტის შესახებ.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, საბჭო აღნიშნავს, რომ იგი არ მსჯელობს იმის შესახებ, სტატიაში მითითებული ფაქტები რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს, არამედ აფასებს ჟურნალისტის მცდელობას, სცადა თუ არა ინფორმაციის გადამოწმება, მათ შორის მიმართა თუ არა კომენტარისათვის იმ პირებს [მაგალითად, გიორგი ან ლევან გაჩეჩილაძეს], ვისაც ეხებოდა სტატიაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. როგორც განმცხადებელმა აღნიშნა, სტატიის ავტორი ძმებ გაჩეჩილაძეებს არ დაკავშირებია კომენტარის მისაღებად. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დაადასტურა მოპასუხე ჟურნალისტმა ელისო კილაძემაც. შესაბამისად, საბჭო თვლის, რომ ამით დაირღვა ქარტიის პირველი პრინციპი, საზოგადოებას ჰქონდა უფლება და მოლოდინი, რომ

სცოდნოდა იმ სუბიექტების პოზიცია, რომლებიც მოხსენიებულნი იყვნენ სტატიაში.

განმცხადებლის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ გიორგი გაჩეჩილაძე უარყოფდა მის შესახებ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ შორის ვანო ჩხარტიშვილისაგან თანხის მიღებას, რაც ასევე ცნობილი უნდა ყოფილიყო მკითხველისათვის სტატიიდან, თუ რესპონდენტი უარს იტყოდა კომენტარის გაკეთებაზე, ამის შესახებაც უნდა აღნიშნულიყო, სადავო მასალაში კი მეორე მხარისგან კომენტარის მიღების მცდელობაც არ იყო, რაც არ ჩაითვლება საზოგადოების უფლების უზრუნველყოფად, რომ მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია:

- ელისო კილაძის მიერ დაირღვა ქარტიის პირველი პრინციპი

დავით ჯაფარიძე ქეთი ციციშვილის წინააღმდეგ

გადაწყვეტილება N 99

02 ივლისი 2016 წელი

საბჭოს თავმჯდომარე: ნინო ბურიაშვილი

საბჭოს წევრები: მაია მეცხვარიშვილი, გერონტი ყალიჩავა, ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, მაია მამულაშვილი

განმცხადებელი: დავით ჯაფარიძე

მოპასუხე: ქეთი ციციშვილი

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა დავით ჯაფარიძემ, რომელიც მიიჩნევდა, რომ 2016 წლის 23 აპრილს, 13 საათზე „ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტით, რომლის ავტორიც იყო ქეთი ციციშვილი,

დაირღვა ქართის პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე პრინციპები. სადავო სიუჟეტი ეხებოდა პოლიციის მიერ მოქალაქეების, ირაკლი ჯაშის და ირაკლი ბჟალავას, დაკავებას. სიუჟეტი ასევე შეიცავდა ვიდეო კადრებს, რომლებიც, ჟურნალისტის ინფორმაციით, ასახავდა პოლიციის მიერ მოქალაქეების დაკავების ფაქტს. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ვიდეო კადრები აღწერდა აბსოლუტურად სხვა ინციდენტს და არ იყო კავშირში ირაკლი ჯაშის და ირაკლი ბჟალავას დაკავებასთან.

საქმის განხილვას არ დასწრებია განმცხადებელი, მოპასუხე ჟურნალისტმა საბჭოს კითხვებს უპასუხა სატელეფონო კავშირის მეშვეობით.

სამოტივაციო ნაწილი:

ქართის პირველი პრინციპის მიხედვით „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“. მოპასუხე ჟურნალისტმა დაადასტურა, რომ მის მიერ გავრცელებული ვიდეო კადრები მართლაც არ ასახავდა ირაკლი ჯაშის და ირაკლი ბჟალავას დაკავების ფაქტს, შესაბამისად თავად ჟურნალისტმა დაადასტურა პირველი პრინციპის დარღვევა, კერძოდ მან გაავრცელა არასწორი ინფორმაცია [ვიდეო კადრები]. მოპასუხემ ასევე აცნობა საბჭოს, რომ მხოლოდ სადავო სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ გახდა მისთვის ცნობილი, რომ გავრცელებული კადრები რეალურად ასახავდა სხვა შემთხვევას და არა ირაკლი ჯაშის და ირაკლი ბჟალავას დაკავების ფაქტს.

ქართის მესამე პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია, ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია“. მოპასუხე ჟურნალისტმა მიუთითა, რომ მას ვიდეო კადრები, რომლებიც თითქოს და ასახავდა ირაკლი ჯაშის და ირაკლი ბჟალავას დაკავებას, მიაწოდა კონკრეტულმა წყარომ, ჟურნალისტმა არ გადაამოწმა მიღებული ინფორმაცია, რამაც გამოიწვია პირველი პრინციპის დარღვევა. შესაბამისად წყაროს არსებობა სახეზეა და ქართის მესამე პრინციპის დარღვევა წყაროს

დადასტურების ნაწილში არ დგინდება. რაც შეეხება დოკუმენტების გაყალბებას, აღნიშნულთან დაკავშირებითაც საბჭო მიიჩნევს, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან, საბჭოს შეფასებით, ჟურნალისტმა არასწორი ვიდეოს გავრცელების დროს არ იცოდა, რომ იგი არ შეესაბამებოდა იმ ფაქტს, რომელზეც სიუჟეტი იყო მომზადებული, ანუ არ ყოფილა ჟურნალისტის განზრახვა/ნება რომ გავრცელებინა ფაქტთან შეუსაბამო ვიდეო.

ქართის მეოთხე პრინციპის თანახმად: „ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს“. განცხადებაში არ არის აღნიშნული თუ რაში გამოიხატებოდა ჟურნალისტის მიერ არაკეთილსინდისიერი ან არა სამართლიანი მეთოდების გამოყენება და საბჭო ვერ იმსჯელებს მეოთხე პრინციპთან დაკავშირებით.

ქართის მეხუთე პრინციპის თანახმად: „მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება“ განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მან მიმართა ტელევიზიას ინფორმაციის შესწორების შესახებ, მიუთითა რა, რომ არასწორი ვიდეო კადრების გავრცელება, რაც დაადასტურა მოპასუხე ჟურნალისტმა და აღნიშნა, რომ შემდგომში აღარ გამოუყენებია ვიდეო კადრები. საბჭო კიდევ ერთხელ განმარტავს თუ რაში გამოიხატება შესწორების პრინციპის დაცვა. მას შემდეგ რაც ჟურნალისტისათვის ცნობილი გახდება, რომ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს საზოგადოებას, არაზუსტი ინფორმაციის [ამ შემთხვევაში ვიდეო კადრების] შემდგომში არ გამოყენება არ ითვლება შესწორებად. შესაბამისად, საბჭო მიიჩნევს რომ ჟურნალისტის მიერ დაირღვა ქართის მეხუთე პრინციპიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია:

- ქეთი ციციშვილის მიერ დაირღვა ქართის პირველი და მეხუთე პრინციპი.
- ქეთი ციციშვილის მიერ არ დარღვეულა ქართის მესამე და მეოთხე პრინციპი.

ელენე მეჩიტოვა, ინა სუკიასიანი და ედიტა ბადასიანი ვებ გვერდ ARTINFO.GE-ზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორის, ასევე მაკა ცინცაძის, ნათია ხართიშვილის და ზურაბ პატარიძის წინააღმდეგ

გადაწყვეტილება N 79

27 თებერვალი 2016 წელი

საბჭოს თავმჯდომარე: ნინო ბურიაშვილი

საბჭოს წევრები: მაია მეცხვარიშვილი, თაზო კუპრეიშვილი, ირინა ყურუა, ნინო ჯაფიაშვილი, მაია მამულაშვილი

განმცხადებლები: ელენე მეჩიტოვა, ინა სუკიასიანი და ედიტა ბადასიანი

მოპასუხე: ვებ გვერდ ARTINFO.GE-ზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, მაკა ცინცაძე, ნათია ხართიშვილი და ზურაბ პატარიძე

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართვის საბჭოს განცხადებით მომართეს ელენე მეჩიტოვამ, ინა სუკიასიანმა და ედიტა ბადასიანმა. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ ARTINFO.GE-ზე გამოქვეყნებული მასალებით, ასევე ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა „2030-ში“ გასული სიუჟეტით [წამყვანი მაკა ცინცაძე, სიუჟეტის ავტორები: ნათია ხართიშვილი და ზურაბ პატარიძე] დაირღვა ქართვის პირველი, მე-3, მე-5, მე-7 და მე-11 პრინციპები.

სადავო მასალა/სიუჟეტები ეხებოდა კონკრეტულ ფაქტს, კერძოდ, ანონიმური ავტორის მიერ YouTube-ზე განთავსდა ვიდეო სახელწოდებით „სომხური საქორწილო ცეკვა“, სადაც ცეკვა „დაისს“ ასრულებდა „გევორჯიანის ცეკვის აკადემია“.

საქმის განხილვის დროს სხდომას დაესწრნენ განმცხადებლები. მაკა ცინცაძეს, ნათია ხართიშვილს და ზურაბ პატარიძეს შეპასუხება არ წარმოუდგენიათ და არც სხდომას დასწრებიან. ARTINFO.GE-მ წარმოადგინა შეპასუხება, სადაც აღნიშნა, რომ მათ გაავრცელეს მხოლოდ სხვა-

დასხვა პირების facebook სტატუსები, ასევე განათავსეს მეორე მხარის [ვართან გევორჯიანის] პოზიცია და შესაბამისად ადგილი არ ჰქონდა ARTINFO.GE მხრიდან ქართვის პრინციპების დარღვევას.

საბჭოს სამდივნოს მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა სტატიის ავტორი კონკრეტული ჟურნალისტის იდენტიფიცირება. ARTINFO.GE-მ არ დააკმაყოფილა საბჭოს სამდივნოს თხოვნა, რომ ეცნობებინა სტატიის ავტორი ჟურნალისტი ან ზოგადად მასალაზე პასუხისმგებელი რედაქტორის ვინაობა.

სამოტივაციო ნაწილი:

განსახილველ განცხადებასთან დაკავშირებით საბჭომ დადგინებულ გარემოებებზე სცნო:

- ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს „გევორჯიანის ცეკვის აკადემია“, რომლის რეპერტუარშიც შედის სხვადასხვა ქვეყნის ცეკვების შესრულება.
- პორტალ YouTube-ზე ანონიმურმა ავტორმა ატვირთა ვიდეო, სადაც გევორჯიანის ცეკვის აკადემია ასრულებს ცეკვა დაისს, ვიდეოს სახელწოდებად მითითებული იყო „სომხური საქორწილო ცეკვა“
- ვიდეო არ ატვირთულა „გევორჯიანის ცეკვის აკადემიის“ და არ დგინდება კავშირი აკადემიასა და იმ პირს შორის, ვინც ვიდეო განათავსა Youtube-ზე.
- „გევორჯიანის ცეკვის აკადემიამ“ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც აღინიშნა, რომ აკადემიას არავითარი საერთო არ აქვს ვიდეოს გამავრცელებელთან და ვიდეო გავრცელდა მათი თანხმობის გარეშე. განცხადების თანახმად, ცეკვის შესრულებისას ისინი ყოველთვის უთითებენ იმ ქვეყნის შესახებ, რომლის ცეკვასაც ასრულებენ.
- ქართვის პირველი პრინციპის თანახმად „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.

გადაცემა „2030-ში“ გასული სიუჟეტის ნაწილში: სიუჟეტის დაწყებამდე წამყვანი მაკა ცინცაძე მოკლედ აღწერს ფაქტობრივ გარემოებებს და მის მიერ გავრცელებული ფაქტობრივი გარემოებები [ქართულ ცეკვას ასრულებს სომხური ანსამბლი და ვიდეო გავრცელდა YouTube-ზე „სომხური საქორწინო ცეკვის“ სახელით] შეესაბამება სიმართლეს, ასევე ცინცაძის შესავალი სიტყვა არ შეიცავდა დისკრიმინაციის ნიშნებს. თავად სიუჟეტში, საბჭოს პოზიციით, დაირღვა ქართულის პირველი პრინციპის ის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ინფორმაცია გავრცელებამდე გადამოწმებული უნდა იყოს ყოველმხრივ. თავად სიუჟეტიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ „სომხურმა ცეკვის ანსამბლმა“ [აქვე აღსანიშნავია, რომ ცეკვის ანსამბლს ერქვა არა „სომხური“ არამედ „გევორქიანის ცეკვის აკადემია“] ცეკვა „დაისი“ მიითვისა და ის „სომხურ საქორწინო ცეკვად“ გამოაცხადა, რაც ფაქტად იყო მიწოდებული რესპოდენტებისათვის. მაგალითად ერთ – ერთი რესპოდენტი რეპლიკის სახით აღნიშნავს „ესენი თუ ასე ითვისებენ“, თავად ჟურნალისტი კი უთითებს: „ქართული ცეკვის სომხურ საქორწინო ცეკვად გამოცხადებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება...“.

სიუჟეტის ავტორს არ გადაუმოწმებია ინფორმაცია, „დაისის“ შესრულებისას „გევორქიანი ცეკვის აკადემია“ მოიხსენიებდა თუ არა მას სომხურ ცეკვად. ჟურნალისტს ყურადღება უნდა მიექცია იმ ფაქტობრივი გარემოებისადმი, რომ „დაისის“ შესრულების ვიდეო ატვირთული იყო ანონიმური ავტორის მიერ და ვიდეოს სახელწოდებაც „სომხური საქორწინო ცეკვა“ ამ ავტორის მიერ იყო შერჩეული. თავის მხრივ YouTube-ი არ ზღუდავს მომხმარებლებს სახელის შერჩევაში. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შედეგად ცხადი იყო, რომ ანონიმური ავტორის მიერ ვიდეოს სახელწოდებად „სომხური საქორწინო ცეკვის“ გამოყენება არ ნიშნავდა, რომ „გევორქიანის ცეკვის აკადემიამ“ დაისი მიითვისა ან ცეკვას ავრცელებდა როგორც „სომხური საქორწინო ცეკვა“. ჟურნალისტს მინიმუმ უნდა აღენიშნა, რომ „მითვისების“ ფაქტი არ იყო გადამოწმებული, ხოლო ჟურნალისტური ეთიკის სრულად დაცვისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა მოეძიებინა ცეკვის შემსრულებელი და მისგან მიეღო კომენტარი. სიუჟეტის ბოლოს ჟურნალისტი ასევე საუბრობს

თითქოს არსებობს გარკვეული დავა და ამბობს შემდეგ ფრაზას – „გაგრძელება თუ არა დავა“. იმის გათვალისწინებით, რომ არ არის იდენტიფიცირებული ვინ ასრულებს ცეკვას, ნამდვილად ხდება თუ არა ცეკვის წარდგენა როგორც „სომხური საქორწინო ცეკვა“, ვინ ფლობს ცეკვაზე საავტორო უფლებებს და საერთოდ ფლობს თუ არა, დავაზე საუბარი არ შეესაბამებოდა რეალურ ფაქტს.

ვებ გვერდ ARTINFO.GE ს ნაწილში: ვებგვერდმა YouTube-ზე ვიდეოს განთავსება ორი სახით გააშუქა. გაავრცელა რამდენიმე პირის Facebook სტატუსები და შემდეგ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც სრულად მოცემულია „გევორქიანის ცეკვის აკადემიის“ ხელმძღვანელის წერილი, სადაც ვართან გევორქიანი განმარტავს შექმნილ გაუგებრობას. წერილში სრულყოფილად არის აღწერილი გარემოები, რომ ცეკვა „დაისის“ ვიდეო, სახელწოდებით „სომხური საქორწინო ცეკვა“ არ გაუვრცელებია აკადემიას, რომ ისინი ყოველთვის უთითებენ ცეკვის წარმომობის ქვეყანაზე. აღნიშნულის ფონზე სტატია იწყება შემდეგი ფრაზით: „ბოლო დღეებში ქართულმა საზოგადოებამ კატეგორიულად დაგმო და გააკრიტიკა Gevorkian Dance Academy, რომელიც ქართულ ცეკვებს სომხურად ასაღებდა“, რაც ცალსახად წარმოადგენს ქართულის პირველი პრინციპის დარღვევას. ასევე არასწორ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს სტატიის სათაური „სომხების ბოდიში ქართველებს“, რეალურად ბოდიში, ისიც მესამე პირის ნაცვლად შექმნილ გაუგებრობაზე გამოთქვა ვართან გევორქიანმა და ეს ფაქტი არ შეიძლება შეფასებულიყო როგორც „სომხების ბოდიში“.

როგორც საბჭომ არა ერთხელ აღნიშნა, ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპების დაცვად ვერ ჩაითვლება ამა თუ იმ პირის პოზიციის მხოლოდ გავრცელება, ყველა გარემოების გადამოწმების გარეშე. „ARTINFO.GE-მ“ გაავრცელა სხვადასხვა პირის Facebook სტატუსები, რომლებიც ეხმაურებიან, მათ შორის შეურაცხმყოფელი ფორმით, ვიდეოს YouTube-ზე ატვირთვას, ისე რომ არ არის განმარტებული და გადამოწმებული ფაქტობრივი გარემოებები და ამით ხდება არასწორი ინფორმაციის გავრცელების ხელის შეწყობა.

ქართის მესამე პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტიკა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტიკა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია“. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ დარღვეული იყო პრინციპის ის ნაწილი, რომლის თანახმად „ჟურნალისტიკა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები“. კერძოდ, განმცხადებლის პოზიციით, მოხდა მიჩქმალვა იმ გარემოების, რომ ვიდეო, რომელმაც არამართებული ვნებათაღელვა გამოიწვია, გავრცელებული იყო ანონიმი ავტორის და არა „გეგორჯიანის ცეკვის აკადემიის“ მიერ. საბჭოს შეფასებით, სახეზე იყო არა მიჩქმალვა, არამედ მოპასუხე ჟურნალისტებმა არ მიაქციეს ყურადღება ამ მნიშვნელოვან გარემოებას და ამით არ უზრუნველყვეს საზოგადოების უფლება, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, რამაც გამოიწვია ქართის პირველი პრინციპის დარღვევა.

ქართის მეხუთე პრინციპის თანახმად: „მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება“.

გადაცემა „2030“ ში გასული სიუჟეტის ნაწილში: სადავო მასალის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე „2030-მა“ კიდევ ერთი სიუჟეტი მოამზადა, სადაც მაყურებელს სრულად გააცნეს გეგორჯიანის ცეკვის აკადემიის ხელმძღვანელის განმარტება, სადაც ვართან გეგორჯიანი აღწერს გარემოებებს და გამორიცხავს ცეკვა „დაისის“ მითვისებას. მიუხედავად აღნიშნულისა, საბჭო მიიჩნევს, რომ შესწორება არ მომხდარა, ვინაიდან მეორე სიუჟეტში არ აღნიშნულა, რომ წინა დღეს არასწორი ინფორმაციის შემცველი სიუჟეტი გავიდა ეთერში. ქართის საბჭოს განმარტებით, იმისათვის, რომ შეცდომა გამოსწორებულად ჩაითვალოს, საჭიროა შეცდომაზე ხაზგასმა და მითითება, რომ მანამდე გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

ვებ გვერდ ARTINFO.GE-ს ნაწილში: საბჭო მიიჩნევს, რომ ინფორმაციის შესწორება არ მომხდარა არც ARTINFO.GE-ს მიერ. სტატიაში, რომელიც ეხებოდა ვართან გეგორჯიანის წერილს, არა თუ უარყოფილი იყო ის ინფორმაცია, რასაც Facebook სტატუსების გაზიარებით ავრცელებდა

ვებგვერდი, არამედ თავად ეს სტატია შეიცავდა არასწორ ინფორმაციას, რაზეც საბჭომ პირველ პრინციპთან დაკავშირებული მსჯელობისას მიუთითა.

ქართის მეშვიდე პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.

აღნიშნულ პრინციპში მნიშვნელოვანია არა მართო ის, რომ ჟურნალისტმა თავად არ გამოიყენოს დისკრიმინაციის შემცველი ტერმინოლოგია, არამედ მის პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს ხელი არ შეუწყოს დისკრიმინაციის წახალისებას და გაემიჯნოს მას.

გადაცემა „2030“-ში გასული სიუჟეტის ნაწილში: რესპონდენტები, რომელთაც ჟურნალისტმა კომენტარი სთხოვა „დაისის“ „მითვისებასთან“ დაკავშირებით, ფაქტის შეფასებისას ამკარად ამჟღავნებენ დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით („სხვა ნაციის ადამიანი ვერ შეასრულებს“). ასევე აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოევიდოს ისეთი საკითხების გაშუქებას, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს დაპირისპირება ეთნიკური ნიშნით. იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტი იყო არაზუსტი და რეალურად დაისის „მითვისება“ არ მომხდარა, სიუჟეტის მომზადებამ აქცენტით „ქართული ცეკვა სომხურად?!“ და „მითვისების“ რეალურ ფაქტად გავრცელებამ გამოიწვია ეთნიკური დისკრიმინაციის ტალღა, როგორც სოციალურ ქსელებში ისე სხვადასხვა საინფორმაციო ველებში. არასწორ ინფორმაციაზე დარყდნობით გაძლიერდა ეთნიკურად სომეხი პირების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება.

ვებ გვერდ ARTINFO.GE ს ნაწილში: აღნიშნულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს დისკრიმინაციის მკვეთრად გამოხატული ფორმა. თუ „2030-თან“ დაკავშირებით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ჟურნალისტმა თავიდან არ აიცილა დისკრიმინაციის წახალისება, „ARTINFO.GE-ს“ ნაწილში

თავად ავტორი ჟურნალისტი გვევლინება დისკრიმინაციის წყაროდ. სტატიის სათაურად გამოტანილია: „სომხების ბოდიში ქართველებს“, რაც როგორც უკვე აღინიშნა, სიმართლეს არ შეესაბამებოდა და მხოლოდ ინვევდა ეთნიკური დაპირსპირების პროვოცირებას. თითქოს ერთი ეთნიკური ჯგუფი, მეორე ჯგუფს ბოდიშს უხდის. „ARTINFO.GE-ს“ ასევე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გაავრცელა კონკრეტული პირების სტატუსები, რომლებიც არასწორი ფაქტის შეფასებისას იყენებდნენ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას – „ბოდიში მოუხადონ ქართველებს“, „მოსთხოვეთ პასუხი ქურდბაცაცებს“.

ქართის მე-11 პრინციპის ჭრილში, განმცხადებლები მიიჩნევდნენ, რომ ჟურნალისტების მიერ არასწორი ინფორმაცია განზრახ გავრცელდა. ამ პრინციპის თანახმად, „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: 1. ფაქტის განზრახ დამახინჯება“.

საბჭო მიიჩნევს, კონკრეტულ შემთხვევაში განზრახვას ადგილი არ ჰქონია და სახეზე იყო მხოლოდ ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის გადამონმების ვალდებულების უგულვებელყოფა.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია:

- ჟურნალისტებმა ნათია ხართიშვილმა და ზურაბ პატარიძემ დაარღვიეს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართის პირველი, მე-5 და მე-7 პრინციპი
- ჟურნალისტებს ნათია ხართიშვილს და ზურაბ პატარიძეს არ დაურღვევიათ ქართის მე-3 და მე-11 პრინციპი.
- ჟურნალისტ მაკა ცინცაძეს არ დაურღვევია ქართის პირველი, მე-3, მე-5, მე-7 და მე-11 პრინციპი.
- საინფორმაციო სააგენტო ARTINFO.GE-ზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართის პირველი, მე-5 და მე-7 პრინციპი.
- საინფორმაციო სააგენტო ARTINFO.GE-ზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორს არ დაურღვევია ქართის მე-3 და მე-11 პრინციპი.

ირაკლი მანაგაძე ლევან გოგორელიანის და თემო მუავიას წინააღმდეგ

გადაწყვეტილება N 96

14 ივნისი 2016 წელი

საბჭოს თავმჯდომარე: ნინო ბურიაშვილი

საბჭოს წევრები: მაია მეცხვარიშვილი, თაზო კუპრეიშვილი, ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, მაია მამულაშვილი

განმცხადებელი: ირაკლი მანაგაძე

მოპასუხე: ლევან გოგორელიანი და თემო მუავია

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართის საბჭოს განცხადებით მომართა ირაკლი მანაგაძემ, რომელიც მიიჩნევდა, რომ ტელეკომპანია GDS-ზე გასულ გადაცემაში, „ბინა 18“, რომელიც ლევან გოგორელიანსა და თემო მუავიას მიჰყავდათ, დაირღვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართის მე-7 პრინციპი. სადავო გადაცემაში სტუმრად იყო მონვეული სალომე გაბრიჩიძე, რომელიც ცნობილი გახდა იმ ვიდეოს საშუალებით, სადაც იგი შეურაცხყოფას აყენებს სექსუალურ უმცირესობას და მათ მიმართ იყენებს სიძულვილის ენას.

საქმის განხილვას დაესწრო განმცხადებელი, მოპასუხე პირები სხდომას არ დასწრებიან და არც შეპასუხება წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

ქართის მეშვიდე პრინციპის თანახმად, მიხედვით „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის

საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.” აღნიშნული პრინციპის თანახმად, ჟურნალისტმა ერთის მხრივ, თავად არ უნდა მოახდინოს პირის თუ პირთა ჯგუფის დისკრიმინაცია, ხოლო მეორეს მხრივ, ხელი არ უნდა შეუწყოს სხვა პირების მიერ დისკრიმინაციული ქმედებების/გამონათქვამების ტირაჟირებას. სალომე გაბრიჩიძე გადაცემაში მონაწილე იყო, როგორც იმ ვიდეოს მონაწილე, სადაც ის სექსუალურ უმცირესობის მიმართ მძიმე შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს იყენებდა. შესაბამისად, გადაცემაში მისი მონაწილეობა და პოზიტიურად გაშუქება არ შეესაბამება ჟურნალისტის ეთიკურ მოვალეობებს. გადაცემის მსვლელობის დროს ჟურნალისტები არ გამოხატავენ თავიანთ ნეგატიურ დამოკიდებულებას სტუმრის ჰომოფობიურ პოზიციაზე, სტუმარმა დაადასტურა, რომ იგი კვლავ მხარს უჭერს თავის დისკრიმინაციულ გამონათქვამებს და ამასთან დაკავშირებით არც ერთმა წამყვანმა არ დააფიქსირა განსხვავებული აზრი, პირიქით, აპლოდისმენტებით შეხვდნენ რესპონდენტის პასუხს რომ „მართალი თქვა“, „რაც ეკუთვნის, ის თქვა“. რესპონდენტმა სურვილი გამოხატა ბოდიში მოეხადა საზოგადოებისათვის სალანძღავი სიტყვების გამოყენების გამო, ოღონდ არა იმიტომ, რომ მან შეურაცხყოფა მიაყენა კონკრეტულ პირთა ჯგუფს, არამედ იმიტომ, რომ „არ შეეფერება ქართველ ქალს ეს გინება“.

გადაცემა ასევე შეიცავდა გამოკითხვას, რომელიც ჩაატარებინეს რესპონდენტს, კერძოდ სალომე გაბრიჩიძე, რომელიც ცნობილი იყო თავის დისკრიმინაციული პოზიციით სექსუალური უმცირესობის მიმართ, ქუჩაში გამვლელებს ეკითხებოდა თუ რას ფიქრობდნენ ისინი სექსუალურ უმცირესობაზე. თავად გამოკითხვაში მონაწილე პირები ავლენდნენ ასევე ჰომოფობიურ დამოკიდებულებას [„უნდა მოვსპოთ“, „ისინი არიან დასახვრეტები“], გამოკითხვის დროს თავად სალომე გაბრიჩიძემ ხაზის გაუსვა, რომ იყო ის პირი, რომელმაც ჰომოსექსუალ პირებს შეაგინა. გამოკითხვა, რომელიც დისკრიმინაციულ/ჰომოფობიურ გამონათქვამებს შეიცავდა, გადაცემის წამყვანი ჟურნალისტების მიერ შეფასდა როგორც „ძალიან კარგი“, გამოკითხვას თან ახლდა ჟურნალისტების ირონიული დამოკიდებულება და დაცინვა იმ გამოკითხული პირების მიმართ, რომლებიც არ ამჟღავნებდნენ ჰომოფობიას.

საბჭოს შეფასებით, გადაცემის წამყვანი ჟურნალისტები არა თუ გაემიჯნენ დისკრიმინაციას სექსუალური უმცირესობის მიმართ, არამედ პირიქით, თავადაც გამოხატეს ირონიული და დამცინავი დამოკიდებულება, მოიწონეს დისკრიმინაციული გამონათქვამები და ხელი შეუწყეს მათ გავრცელებას. საბჭოს შეფასებით, გადაცემა არის დისკრიმინაციული და უხეშად არღვევს ქართის მე-7 პრინციპს.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია:

- ლევან გოგორელიანმა და თემო მჟავიამ დაარღვიეს ქართის მეშვიდე პრინციპი.
- გადაწყვეტილება საქმეზე – გიორგი ყიფიანი მაია ასათიანის წინააღმდეგ

გიორგი ყიფიანი მაია ასათიანის წინააღმდეგ

გადაწყვეტილება N 81

27 თებერვალი 2016 წელი

საბჭოს თავმჯდომარე: ნინო ზურიაშვილი

საბჭოს წევრები: მაია მეცხვარიშვილი, თაზო კუპრეიშვილი, ირინა ყურუა, ნინო ჯაფიაშვილი, მაია მამულაშვილი

განმცხადებელი: გიორგი ყიფიანი

მოპასუხე: მაია ასათიანი

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართის საბჭოს განცხადებით მომართა გიორგი ყიფიანმა. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ მაია ასათიანმა დაარღვია ქართის პირველი, მე-8 და მე-10 პრინციპი. განცხადების თანახმად, ქართის პრინციპები დაირღვა 2016 წლის 28 იანვარს, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში გასულ გადაცემაში „პროფილი“, რომლის წამყვანიც მაია ასათიანი იყო და ეხებოდა არასრულწლოვანთა სუიციდს.

საქმის განხილვის დროს სხდომას დაესწრო განმცხადებელი გიორგი ყიფიანი, მოპასუხე სხდომას არ დასწრებია და არც საპასუხო პოზიცია წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

ქართის პირველი პრინციპის მიხედვით „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.

გადაცემა იწყება წამყვანის ტექსტით: „16 წლის გიორგი, 16 წლის მარინა, 11 წლის ნიკა, 12 წლის ირაკლი, 17 წლის ოთო, 16 წლის ნიკა, 15 წლის თინათინი, 16 წლის სამირა, 17 წლის თაკო, 16 წლის გიორგი, 17 წლის პაატა, 11 წლის პაატა – სულ 100-ზე მეტი შემთხვევა ერთ წელიწადში. ყველა არასრულწლოვანია. რა ხდება? რატომ იკლავენ ასე ხშირად ბავშვები თავს? რატომ იმატა ბოლო ორი წლის განმავლობაში თვითმკვლელობების რიცხვმა?“ ასევე ერთ ერთი კითხვის დასმის დროს წამყვანმა აღნიშნა: „იმ ყველაფრის ფონზე, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, რა არის ამ ყველაფრის მიზეზი? მე მაინც მგონია და ამას სტატისტიკაც ადასტურებს, რომ რიცხვი გაზრდილია. სად არის პრობლემა?“ ანუ წამყვანმა დადასტურებული ფაქტის სახით საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ არასრულწლოვნებს შორის თვითმკვლელობების რიცხვმა იმატა. ქართის საბჭომ გამოითხოვა ინფორმაცია [სტატისტიკა] შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომლის თანახმად [2016 წლის 15 მარტის N 653380 წერილი]:

- 2012 წელს დაფიქსირდა სუიციდის 315 ფაქტი, მათ შორის არასრულწლოვანთა სუიციდის 7 ფაქტი.
- 2013 წელს დაფიქსირდა სუიციდის 312 ფაქტი, მათ შორის არასრულწლოვანთა სუიციდის 18 ფაქტი.
- 2014 წელს დაფიქსირდა სუიციდის 382 ფაქტი, მათ შორის არასრულწლოვანთა სუიციდის 15 ფაქტი,
- 2015 წელს დაფიქსირდა სუიციდის 400 ფაქტი, მათ შორის არასრულწლოვანთა სუიციდის 13 ფაქტი.

გემოაღნიშნული სტატისტიკიდან დგინდება, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, არა თუ იმატა, არამედ იკლო სუიციდების რიცხვმა

არასრულწლოვანთა შორის, შესაბამისად, წამყვანის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყო არაზუსტი.

ქართის მე-8 პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები, პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება“ განმცხადებელი თავის არგუმენტაციაში, რომელიც ეხებოდა ქართის მე-8 პრინციპის დარღვევას, ძირითადად აპელირებდა იმაზე, რომ სუიციდის ფაქტები არ იყო გაშუქებული სწორად, რომ ასეთი სახით გაშუქებამ შეიძლება პირიქით წაახალისოს თვითმკვლელობა.

ქართის საბჭო აღნიშნავს, რომ ქართის მე-8 პრინციპი აქცენტს აკეთებს არასრულწლოვნებზე ინდივიდუალურად და აფასებს თუ რამდენად შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კონკრეტულ პირზე სადავო მედიაპროდუქტმა. შესაბამისად, არასრულწლოვნების სუიციდის ზოგადად გაშუქება არასწორად, ვერ გამოიწვევს ქართის მე-8 პრინციპის დარღვევას.

დამატებით, ქართის საბჭო იზიარებს ეთიკურ ჟურნალისტიკაში დამკვიდრებულ წესებს, რომ სუიციდის ფაქტების შესახებ ჟურნალისტური პროდუქტების მომზადება საჭიროებს ბევრი დეტალის გათვალისწინებას [მაგალითად ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს სუიციდის ჩადენის ხერხის გასაჯაროებისაგან და ა.შ.], რომ არ გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები. შესაბამისად, ქართის მიერ მომზადდა სუიციდის გაშუქების სახელმძღვანელო წესები და განთავსდა ვებგვერდზე.

ქართის მე-10 პრინციპის თანახმად „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი“. გადაცემის იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვან მარიამის მიერ თვით-

მკვლევლობის ფაქტს, ჟურნალისტი პირად ცხოვრებაში შეიჭრა – საჯარო გახდა ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია, ასევე ჟურნალისტი დაჟინებით სთხოვდა გარდაცვლილი პირის დედას მოეყოლა თუ რატომ გადაწყვიტა გვამის ექსგუმაცია. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ არ არსებობდა საზოგადოების ობიექტური ინტერესი და შესაბამისად ჟურნალისტს არ უნდა გაესაჯაროებინა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია:

- მაია ასათიანმა დაარღვია ქარტიის პირველი და მე-10 პრინციპი.
- მაია ასათიანს არ დაურღვევია ქარტიის მე-8 პრინციპი.

ააიპ „მომავლის სოფელი“ მაია ასათიანის წინააღმდეგ

გადაწყვეტილება N 93

19 მაისი 2016 წელი

საბჭოს თავმჯდომარე: ნინო ზურიაშვილი

საბჭოს წევრები: მაია მეცხვარიშვილი, თაზო კუპრეიშვილი, ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, მაია მამულაშვილი

განმცხადებელი: ააიპ „მომავლის სოფელი“

მოპასუხე: მაია ასათიანი

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა ააიპ „მომავლის სოფელმა“. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ მაია ასათიანმა დაარღვია ქარტიის პირველი, მე-3, მე-7 და მე-10 პრინციპი. განცხადების თანახმად, ქარტიის პრინციპები დაირღვა 2016 წლის 14 აპრილს, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში გასულ გადაცემაში „პრო-

ფილი“. გადაცემა, რომლის წამყვანიც მაია ასათიანი იყო, ეხებოდა სტალინის კულტს, მის პატივისცემას საზოგადოების ნაწილის მიერ. გადაცემის პირველ ბლოკში მოწვეული იყო ილარიონ სამხარაძე და ნინო სირაძე, რომელთაც სტალინი წმინდანად მიაჩნდათ. სწორედ აღნიშნულ ნაწილთან დაკავშირებით მიიჩნევა განმცხადებელი, რომ ადგილი ჰქონდა ქარტიის პრინციპების დარღვევას.

საქმის განხილვის დროს სხდომას დაესწრო განმცხადებლის, ააიპ „მომავლის სოფლის“ წარმომადგენლები, მოპასუხე სხდომას არ დასწრებია და არც საპასუხო პოზიცია წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

ქარტიის პირველი პრინციპის მიხედვით „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.

განცხადების თანახმად, არასწორი ფაქტი იყო ილარიონ სამხარაძის „მეუფედ“ მოხსენიება. ზეპირი განხილვის დროს, განმცხადებელმა შეცვალა არგუმენტაცია პირველ პრინციპთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ პრინციპის დარღვევა გამოიხატა ნინო სირაძისადმი მიმართვის ფორმაში, კერძოდ, წამყვანი მას მიმართავდა როგორც „დედაო“. ააიპ „მომავლის სოფელი“ მიუთითებდა, რომ მსგავსი სახის მიმართვას შეცდომაში შეჰყავდა მაყურებელი და ნინო სირაძეს აღიქვამდა საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წევრად, რაც თავის მხრივ სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

აღნიშნულ არგუმენტაციასთან დაკავშირებით საბჭო აღნიშნავს, რომ გადაცემის თანახმად თავად რესპოდენტმა სთხოვა წამყვანს მოეხსენიებინა როგორც „დედა“ შესაბამისად, ამ ტერმინის გამოყენება არ აღნიშნავდა რესპოდენტის სტატუსს საეკლესიო იერარქიაში. კერძოდ, მაია ასათიანი ეკითხება ნინო სირაძეს: „თქვენ მთხოვეთ, რომ მე მომემართა „დედაო“. მონაზონი ხართ ანუ?“. აქედან გამომდინარე საბჭო მიიჩნევს, რომ ნინო სირაძისადმი მიმართვა „დედაო“, არ წარმოადგენდა ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევას.

ქართის მესამე პრინციპის თანახმად „ჟურნალისტიკა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტიკა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია“ ქართის აღნიშნულ პრინციპთან დაკავშირებით განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ჟურნალისტიკა მიჩქმალა ფაქტი იმის შესახებ, რომ მეუფე ილარიონ სამხარაძეს შეჩერებული ჰქონდა მღვდელმსახურების უფლებამოსილება. თავის მხრივ ამ ფაქტის მიჩქმალვა, იმის გათვალისწინებით, რომ ილარიონ სამხარაძე შემოსილი იყო მღვდელმსახურის ფორმაში, მას მიმართავდნენ როგორც „მეუფე“, ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ილარიონ სამხარაძე გამოხატავდა საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას. საბჭო ვერ გაიზიარებს განმცხადებლის არგუმენტაციას, ვინაიდან გადაცემაში რამდენჯერმე გაჟღერდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ილარიონ სამხარაძე არ წარმოადგენდა საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას. კერძოდ, წამყვანი სვამს კითხვას ილარიონ სამხარაძის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ: „თუმცა, მე როგორც ვიცი, მეუფე ილარიონი, მაპატიეთ ამას რომ გეკითხებით, განკვეთილია ეკლესიიდან“. გადაცემა ასევე შეიცავს სატელეფონო ინტერვიუს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანთან, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველთან, რომელიც აღნიშნავდა, რომ ილარიონ სამხარაძე გათავისუფლებულია მოქმედი ეპისკოპოსის თანამდებობიდან და ის არ გამოხატავს ეკლესიის პოზიციას.

აქვე აღსანიშნავია, მიქაელ ბოტკოველთან ბე-მოაღნიშნული ინტერვიუ ქრონოლოგიურად წინ არ უსწრებდა და არც მყისიერად უკან მოსდევდა ილარიონ სამხარაძესთან ინტერვიუს. საბჭო მიიჩნევს, უმჯობესი იქნებოდა, რომ ილარიონ სამხარაძის წარდგენამდე ან მასთან ინტერვიუს დამთავრებისთანავე ცხადი ყოფილიყო მაყურებლისათვის, რომ ილარიონ სამხარაძე არ იყო საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენელი, მაგრამ ვინაიდან ფორმალურად დაცული იყო ჟურნალისტიკის მოვალეობა მიწოდებინა მაყურებლისათვის ამომწურავი ინ-

ფორმაცია, მესამე პრინციპის დარღვევა ვერ დადგინდება.

ქართის მე-7 და მე-10 პრინციპების თანახმად „[7] ჟურნალისტიკა უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის ნახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“. [10] „ჟურნალისტიკა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი“. ორივე პრინციპთან დაკავშირებით გადაცემის სადავო ნაწილი კომპლექსურად უნდა იქნას განხილული. თავდაპირველად საბჭო აღნიშნავს, რომ მას არა აქვს დადასტურებული ფაქტის სახით ინფორმაცია ილარიონ სამხარაძის ჯანმრთელობის შესახებ, მეტიც, საბჭოს უფლებამოსილებას არ წარმოადგენს გაასაჯაროს პირის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია ან იმსჯელოს მასზე. მაგრამ გადაცემაში, როგორც წამყვანის მიერ დასმული კითხვების, ისე რესპოდენტების პასუხით, მაყურებლისათვის იქმნება შთაბეჭდილება, რომ ილარიონ სამხარაძეს ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ გარკვეული სახის პრობლემები. მაგალითად: რესპოდენტი ნინო სირაძე წამყვანს ერთ – ერთ კითხვაზე პასუხობს – „მაშინდელი სინოდის დასკვნით: ფსიქიური დაავადებიდან გამომდინარე, ეპისკოპოსი ილარიონ სამხარაძე გათავისუფლებული იქნეს ბოდბის ეპარქიის მღვდელმთავრობიდან ხარისხის შენარჩუნებით“, მეორე რესპოდენტმაც, არჩილ ჭყოიძემაც ხაზი გაუსვა, რომ „თავად პიროვნებამ [იგულისხმება ილარიონ სამხარაძე] თვითონ თქვა, რომ ფსიქიურად ვერ იყო კარგად და ამის გამო გამოაგდეს“ და რაც ყველა მნიშვნელოვანია, მიქაელ ბოტკოველი, რომელიც საპატრიარქოს პოზიციას გამოხატავდა ასევე აღნიშნავდა, რომ: „მეუფე ილარიონთან დაკავშირებით, არსებობს ამონაწერი სინოდის სხდომის ოქმიდან, სადაც წმინდა სინოდმა მიიჩნია, რომ ის ავად არის და გაათავისუფლა ის მოქმედი ეპისკოპოსის თანამდებობიდან“.

საბჭოს მიაჩნია, რომ პირის ჯანმრთელობის შესახებ დადასტურებული ან სავარაუდო ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენს ქარტიის მე-10 პრინციპის დარღვევას, ამასთან არ არსებობდა საზოგადოებრივი ინტერესი ილარიონ სამხარაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ. რესპონდენტების პასუხებით მაყურებელს შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ილარიონ სამხარაძეს ჰქონდა ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და სწორედ ამის ფონზე მოხდა მისი დისკრიმინაცია მის მიმართ. როგორც ნამყვანის, ის გადაცემაში მონაწილე სხვა პირების მიერ გამოყენებული იყო დამცინავი ტონი. სტალინის წმინდანად შერაცხვა არ არის საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური პოზიცია, ამის გათვალისწინებით, საკითხის განხილვა არაუფლებამოსილ პირთან, რომელზეც გადაცემის მიმდინარეობისას საზოგადოებას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ჰქონდა ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, იყო ამ პიროვნების დაცინვისა და გაშარუების მცდელობა. ამით

ვი გაძლიერდა სტიგმა, რომ ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანები მუდმივად ვერ აღიქვამენ რეალობას ადეკვატურად და მათი პოზიცია დაცინვის საგანია. ფსიქიკური პრობლემა შეიძლება იყოს მრავალი სახის და ეს შესაძლოა სულაც არ უშლიდეს ხელს ადამიანის მიერ მოვლენათა აღქმისა და გადმოცემის ადეკვატურობას, ხოლო რა სიმძიმისაა ფსიქიკური პრობლემა, ამის დადგენა მხოლოდ კომპეტენტურ სპეციალისტს შეუძლია. გარდა ამისა, არ შეიძლება ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანს შეეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. შესაბამისად საბჭო თვლის, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით მოხდა ილარიონ სამხარაძის დისკრიმინაცია.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია:

- მაია ასათიანმა დაარღვია ქარტიის მეშვიდე და მეათე პრინციპი.
- მაია ასათიანს არ დაურღვევია ქარტიის პირველი და მესამე პრინციპი.

